პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 79 (19521) ◆ ხუთშაბათი, 3 აპრილი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



„ვარკეთილი—3" ყველაზე ახალგაზრდა მიკრორაიონია




„ვარკეთილი-3" თბილისის ყველაზე ახალგაზრდა თანამედროვე კეთილმოწყობილი მიკრორაიონია. მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები აქ სასურსათო მაღაზიებთან, რძის პავილიონებთან, საყოფაცხოვრებო ობიექტებთან ერთად აშენდა. კორპუსებისაკენ მიმავალი გზები დაგებულია ბეტონის ფილებით, მათ ამშვენებს მწვანე გაზონები და დეკორატიული აუზები.

• • •

სურათებზე: ყველაზე მადლიერი ახალმოსახლენი ბავშვები არიან!; სასურსათო მაღაზიასთან.

ვ. კიკვაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

## ვისწავლოთ თავმდაბლობა

**ტ. როსტიაშვილი,**

ხარატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი, სკკპ XXVII ყრილობის დელეგატი



ყოველ ჩვენგანს ძლიერ აწუხებს, რომ რესპუბლიკაში კვლავ ვხვდებით ნეგატიურ მოვლენებს. ეგრეთ წოდებული „წარსულის გადმონაშთებისათვის" მათი მიკუთვნება ყველაზე იოლი გზაა. პრობლემას რეალურად უნდა შევხედოთ. პარტიული ეთიკის ნორმებიდან გადახვევა, კერძომესაკუთრული ტენდენციები, მუშტრული ფსიქოლოგია ადამიანის შეგნებაში თავისთავად არ ყალიბდება — მათ ქმნის გარემოცვა, გარემოებანი და პირობები, შეცდომები და ხარვეზები მართვასა და იდეურ-აღმზრდელობით მუშაობაში.

ამ ბოლო ხანს რესპუბლიკაში მკაცრ პარტიულ და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა ზოგიერთი მუშაკი, რომლებსაც პასუხსაგები პოსტები ეკავათ, მაგრამ კომუნისტის სახე დაკარგეს და ანგარებასა და კანონსაწინააღმდეგო მოქმედებაში ამხილეს. უნებურად ჩაუფიქრდები, როგორ შეიძლებოდა ეს მომხდარიყო? ბევრი მათგანი ხომ მუშათა კოლექტივებიდან არის გამოსული, მათი რეკომენდაციები მიიღეს. თავის დროზე რუსთავის მეტალურგიული ქარხნიდან ხელმძღვანელ თანამდებობაზე დააწინაურეს უბირია. მაგრამ, როცა რესპუბლიკის ნავთობპროდუქტების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გახდა, მექრთამეობისა და გამომძალველობის გზას დაადგა. ჩვენი კოლექტივის რეკომენდაცია მიიღო ხაზარაძემ, მაგრამ ისიც ავტოტექმომსახურების რესპუბლიკური ცენტრის გენერალური დირექტორის ხელმძღვანელი თანამდებობიდან განსასჯელის სკამზე მოხვდა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დავალებით შევამოწმე, თუ როგორ ისმენენ პარტიულ კრებებზე კომუნისტთა ანგარიშებს. კრებები ყველა პირველადს ორგანიზაციაში გაიმართა. ანგარიში ჩააბარა 40 ათასზე მეტმა კაცმა. გამოითქვა სურვილები, შენიშვნები, იყო ამხანაგური კრიტიკა. ამასთანავე ანგარიშების განხილვის შედეგად 80 კომუნისტი პარტიის რიგებიდან გაირიცხა, 200 ხელმძღვანელის მიმართ კი აღიძრა საკითხი, რომ მიზანშეწონილი არ არის მათი დატოვება თანამდებობაზე. მაგრამ ასეთი ფაქტებიც მოხდა. თელავის სამკერვალო ფაბრიკაში დირექტორის შ. გრიშიკაშვილის ანგარიში მოისმინეს და ხელმძღვანელს კარგი შეფასება მისცეს. ამას წინათ კი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო იძულებული გახდა სამუშაოდან მოეხსნა იგი. ძალზე ბევრი ნაკლი ჰქონდა საწარმოს ხელმძღვანელობაში. თანაც უსულგულოდ ეკიდებოდა ადამიანთა საჭიროებებს და მოთხოვნებს. რატომ არაფერი თქვეს ამის თაობაზე კომუნისტებმა?

სკკპ XXVII ყრილობაზე სწორად აღინიშნა: ყოველ პარტიულ ორგანიზაციაში ჩვენ თვითონ უნდა ვქმნიდეთ ურთიერთმომკითხველობის ვითარებას, რომელიც გამორიცხავს ნებისმიერი პირის მხრივ პარტიული ნორმების უგულებელყოფის შესაძლებლობას. ითქვა ისიც, რომ ჩვენი შეგნებიდან მეტისმეტად ნელა ვდევნით სტერეოტიპებს, მოძველებულ სქემებსა და ჩვევებს. მე კი ნათქვამს ვუდარებდი იმას, რაც ზოგჯერ ხდება ხოლმე ჩვენს ქარხანაში, და ვასკვნიდი: ბევრი ასეთი თვისება ჯერ კიდევ ვერ მოიშორა თავიდან ჩვენმა კოლექტივმა. საწარმო სტაბილურად ირიცხება მოწინავეთა შორის. კარგი ტრადიციები დაუგროვდა პარტიულ ორგანიზაციასაც — ჩვენთან გამოცდილების გასაზიარებლად ჩამოდიან, დიმიტროველებს სანიმუშოდ იხსენიებენ ხოლმე. ყოველივე ეს დამსახურებული და სამართლიანია — ამას სადავოდ ვერავინ გახდის. მაგრამ ჩვენ რაღაცნაირად მივეჩვიეთ მარტო დადებითს შეფასებებს. და როცა საქალაქო გაზეთმა გააკრიტიკა ავიამშენებლები საცხოვრებელ ადგილას მუშაობაში ხარვეზებისათვის, ბევრი ამ შენიშვნებს, როგორც იტყვიან, ხმალამოღებული შეხვდა და იწყინა. არ დაგიმალავთ, მათ შორის მეც ვიყავი: მინდოდა გაზეთში დამერეკა, ჩემი უკმაყოფილება გამომეთქვა.

ეს შემთხვევა გაგვახსენდა საამქროში ყრილობის შედეგების განხილვისას და წვრილმანად აღარ მოგვეჩვენა. ეტყობა, ყრილობის ერთ-ერთი უმთავრესი გაკვეთილი სწორედ ის არის, რომ ბევრ ჩვეულ ფაქტსა და მოვლენას ახლა სხვაგვარად, გონების თვალით აფასებ. ყრილობაზე ხომ ძალზე პატიოსნად, პრინციპულად ითქვა იმათ შესახებ, ვინც ცდილობს თავი დაიზღვიოს კრიტიკისაგან. არც არის და არც უნდა იყოს პრივილეგირებული ორგანიზაციები, რომლებიც პარტიული კრიტიკის მოქმედების ზონის გარეთ დარჩებიან, არ უნდა იყვნენ ხელმძღვანელები, რომლებიც დაზღვეული იქნებიან პარტიული პასუხისმგებლობისაგან, მოწინავე მუშები, რომლებსაც ბევრ რამეს აპატიებენ ხოლმე. ხშირად ხომ სიტყვებს „საბაზო ორგანიზაცია", „მოწინავე გამოცდილების დარგობრივი სკოლა", ზოგიერთი სამეურნეო თუ პარტიული ხელმძღვანელი იმისთვის იყენებს, რომ შენიღბოს სერიოზული ხარვეზები ორგანიზატორულ და აღმზრდელობით მუშაობაში, საკადრო პოლიტიკაში, ზოგჯერ კი ამით კანონსაწინააღმდეგო მოქმედებასაც კი ნიღბავენ. ჰოდა, მუშათა წრეში ასე თუ ისე გამოვლინდება ხოლმე იმის ცდები, რომ ნაკლოვანებანი მიღწევებით, ავტორიტეტით მიჩქმალონ. ამას ჩვენ მტკიცედ ვებრძვით და კვლავაც შევებრძოლებით.

ჩვენი, დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის პარტიულ ორგანიზაციას ყრილობაზე ჩემთან ერთად დირექტორი პ. თორდიაც წარმოადგენდა. იგი ჩვენს კოლექტივში გაიზარდა, განვლო გზა რიგითი ინჟინრიდან ხელმძღვანელამდე. მრავალ სხვა თვისებას შორის, რომლებმაც ავტორიტეტი დაუმკვიდრა, მე გამოვყოფდი ერთს — თავმდაბლობას. დასანანია, რომ ნებისმიერი კაცისათვის ამ აუცილებელ თვისებაზე ახლა ისე ვლაპარაკობთ, თითქოს განსაკუთრებული ღირსება იყოს. და ვფიქრობ: რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაცია დროულად დაადგა იმ კურსს, რომ მკაცრად მოჰკითხოს ხელმძღვანელებს პარტიული ეთიკის ნორმებიდან ყოველი გადახვევისათვის, სამუშაოზე თუ პირად ცხოვრებაში ამპარტავნობისათვის. ზოგ-ზოგებს მეტად მკაცრად მოეჩვენათ მთელი რიგი ხელმძღვანელი მუშაკების პარტიიდან გარიცხვა, რომლებიც არაფერს არ თაკილობდნენ, ოღონდ უმაღლეს სასწავლებლებში შეეყვანათ თავიანთი შვილები. ზოგი გულამოსკვნილი ოხრავდა, როცა მკაცრად დაისაჯნენ მშობლები, რომლებიც ყოველნაირად ანებივრებდნენ თავიანთ ზრდადასრულებულ შვილებს, რამაც ისინი ბოლოს და ბოლოს განსასჯელის სკამამდე მიიყვანა. მაგრამ მუშაკაცს, ჭეშმარიტ კომუნისტს ეს ღონისძიებანი ზედმეტად მკაცრად არ მოსჩვენებია. ჰოდა, ასე, ლენინური პრინციპულობით უნდა ვებრძოლოთ ჩვენი მორალის ნორმების დამრღვევთ.

მუშათა წრის განწყობილების მიხედვით გეტყვით: ხალხი იწონებს წესრიგის კურსს, ყველაფერში ორგანიზებულობის კურსს. როცა ჯანსაღი კლიმატია, უფრო თავისუფლად სუნთქავ და მუშაობაც სახალისოა. მაგრამ აი, უნებურად დაუფიქრდები: რატომ არის, რომ ჯერ კიდევ ბევრს ავიწყდება ლენინური წმიდათაწმიდა პრინციპები, რატომ არის, რომ ჩვენს ცხოვრებაში ჯერ კიდევ გვხვდებიან მომხვეჭელები, მექრთამეები, პარტიული ეთიკის ნორმების დამრღვევები? ვფიქრობ, რომ ყრილობამ სწორი პასუხი გასცა ამ კითხვას: უნდა მივაღწიოთ იმას, რომ სასჯელი გარდაუვალი იყოს ჩინ-მედლებისა და დამსახურების მიუხედავად.

პირდაპირ გეტყვით, თავმდაბლობა მუშაკაცსაც სჭირდება. ამას წინათ ერთ შეხვედრაზე მკითხეს: რამდენჯერ ვყოფილვარ საზღვარგარეთ? არც ერთხელ, როგორღაც ვერ მოვახერხე: ცალკე — მუშაობა, ცალკე — დეპუტატის საქმეები; და საერთოდ მივეჩვიე შვებულება მშობლიურ სოფელში, ახლობელთა შორის გავატარო ხოლმე, და უკვე თითქმის ოცდაათი წელია ამ ჩვევისათვის არ მიღალატია. ჩემმა პასუხმა ყველა არ დააკმაყოფილა. ესაოდა, წარჩინებული მუშაკიაო, და „ხელიდან უშვებს" ბევრ ისეთ რამეს, რაც ეკუთვნისო. ასეთი პოზიცია ჩემთვის ახალი ამბავი არ არის და ყოვლად მიუღებელია. რაღაც განსაკუთრებული კეთილდღეობისათვის და პრივილეგიებისთვის როდი ხვეწავს თავის ოსტატობას მუშაკაცი, ამისთვის როდი უნდა შრომითი რეკორდები.

მართლაც, ჩვენს სოციალური სამართლიანობის საზოგადოებაში ყველა მომუშავისადმი უნდა ხორციელდებოდეს სოციალისტური პრინციპი: თითოეულს — შრომის მიხედვით. და ჩვენ კანონზომიერად ვიბრძვით იმისათვის, რომ იგი განუხრელად სრულდებოდეს. მაგრამ აი, ზოგჯერ გული გეტკინება, როცა მუშათა წრეში ზღვარდაკარგულ მოთხოვნებს ხვდები — არაფერი არ ვიცი, მომეცი და მორჩაო; როცა მუშა, თუნდაც კარგი მუშა, უტიფრობს, ლამის ულტიმატურად მოითხოვს თავისთვის ამა თუ იმ სიკეთეს. ასე მოიქცა ჩვენი ამხანაგიც, ამწყობი ზეინკალი გ. ჩოკური. ჩინებული სპეციალისტი იყო, მაგრამ დროთა განმავლობაში სპეკულაცია დაიწყო თავისი ოსტატობით, საამქროში თავისთვის რაღაც განსაკუთრებულ, მონოპოლიურ მდგომარეობას მოითხოვდა. ვთქვათ, გამომუშავების ნორმების შემცირებაა საჭირო, წინააღმდეგია: ხელფასი მომაკლდებაო. ახალგაზრდებს უნდა გაუზიაროს გამოცდილება, გაგონებაც კი არ სურს, არ უნდა გამოეთხოვოს „შეუცვლელის" სტატუსს. ისეთნიც გამოჩნდნენ, რომლებიც აქეზებდნენ ასეთ განწყობილებას: ამისთანა კაცს ეპატიებაო. და ძალიან კარგია, რომ კომუნისტებმა მათ ნამდვილი ბრძოლა გამოუცხადეს. მუშის საქციელი პარტკომის სხდომაზე განიხილეს. პირდაპირ უთხრეს, რომ მისი ქცევა შეუთავსებელია წესიერებასთან და თავმდაბლობასთან. ახლა გ. ჩოკურმა ახალგაზრდა მუშების ბრიგადა შექმნა და საქმეც კარგად მიუდით.

ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს პარტიის ყრილობაზე ნათქვამს: „ჩვენ სამართლიანად აღვაშფოთებენ ხოლმე ყოველგვარი ნაკლოვანებანი, მათი კონკრეტული მატარებლები — ადამიანები, რომლებიც არაფრად აგდებენ თავიანთ მოვალეობებს, გულგრილნი არიან საზოგადოებრივი ინტერესებისადმი: წუნისმკეთებელნი და უსაქმურნი, წამგლეჯნი და ანონიმისტები, ჩინოვნიკები და მექრთამეები. მაგრამ ისინი კონკრეტულ კოლექტივში, ქალაქში, სოფელში, მოცემულ ორგანიზაციაში ცხოვრობენ და მუშაობენ, და არა სადღაც ჩვენგან განცალკევებით. თუ არა კოლექტივი, თუ არა კომუნისტები, მაშ ვინ უნდა თქვას ხმამაღლა, რომ ჩვენს მშრომელთა საზოგადოებაში თითოეული მოვალეა ნამუსიანად იშრომოს, განუხრელად დაიცვას სოციალისტური საერთო ცხოვრების ნორმები, რომლებიც ყველასთვის ერთნაირია".

დღეს მეთორმეტე ხუთწლედის ლექსიკონში სრულუფლებიანად შევიდა სიტყვები „გარდაქმნა" და „დაჩქარება". ჩემთვის, მუშაკაცისათვის, გასაგები და ახლობელია პარტიის, მთელი ჩვენი საბჭოთა ხალხის მისწრაფებანი უფრო მაღალი მწვერვალებისაკენ, საბჭოთა სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უფრო მაღალი დონისაკენ. ვფიქრობ, რომ ჩვენი ცხოვრების გარდაქმნას, მის დაჩქარებას ორგანულად უნდა ერწყმოდეს ჩვენი რიგების განწმენდა, განწმენდა ყოველივე დანალექისაგან, ჩვენთვის უცხო მორალისა და ზნეობისაგან წმიდათაწმიდა ლენინური მცნებებისათვის ყოველივე უცხოსაგან.

„სოციალისტიჩესკაია ინდუსტრია",
1986 წ. 2. IV.

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მორიგ სხდომაზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკის მშრომელები მხურვალედ იწონებენ და ფართოდ უჭერენ მხარს მოსკოვის მოწინავე საწარმოთა პატრიოტულ ინიციატივას — მოაწყონ 1986 წლის 19 აპრილს კომუნისტური შაბათობა ვ. ი. ლენინის დაბადების 116 წლისთავის აღსანიშნავად. საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, პირველადს პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებს, სამინისტროებისა და უწყებების, საწარმოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელებს დაევალათ გაშალონ მიზანდასახული მუშაობა, რათა დარაზმონ მშრომელები მაღალ ორგანიზაციულ-პოლიტიკურ დონეზე ლენინური კომუნისტური შაბათობის მოწყობისათვის, წარმართონ შრომითი კოლექტივების საქმიანობა სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად, შაბათობის დღეს შრომის დიდი ნაყოფიერების მისაღწევად, დაზოგილი რესურსებით, მასალებითა და ნედლეულით მუშაობის უზრუნველსაყოფად.

განიხილეს სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად რესპუბლიკის სოფლის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა საკითხი. აღინიშნა, რომ მუშაობა, რომელსაც ეწევიან საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები სოფლად საყოფაცხოვრებო მომსახურების დონის ამაღლებისათვის, ამ დარგში მკაცრი სახელმწიფო წესრიგის დამყარებისათვის, უაღრესად არასაკმარისია, არ შეესაბამება სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის მოთხოვნებს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ დაავალა რესპუბლიკის პარტიულ კომიტეტებს და საბჭოთა ორგანოებს განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი სოფლის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ისეთ საკითხებს, როგორიც არის საყოფაცხოვრებო მომსახურების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოება, უშუალოდ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, მეცხოველეობის კომპლექსებში ობიექტების ქსელის განვითარება, კეთილსინდისიერი, კვალიფიციური კადრებით სისტემის განმტკიცება, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა ყოფილი ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტისა და პარფიუმერია-კოსმეტიკის ფაბრიკა „ივერიის" ხელმძღვანელობის მიერ საანგარიშგებო დისციპლინის უხეში დარღვევის, თვალისახვევისა და სახელმწიფოს მოტყუების ფაქტები.

ყოფილი ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელები დაადგნენ მოტყუებისა და თვალისახვევის გზას და სისტემატურად ამახინჯებდნენ ნამდვილ საქმის ვითარებას. მაგალითად, მათ 1986 წლის 18 იანვარს ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს წარუდგინეს პროდუქციის თვითღირებულების 1985 წლის ანგარიში, სადაც აღნიშნეს, რომ თვითღირებულება 5661 ათასი მანეთით შემცირდა; რამდენიმე ხნის შემდეგ — 10 თებერვალს — გაუგზავნეს ახალი ანგარიში, რომელშიც ეკონომიის ნაცვლად აღმოჩნდა გადახარჯვა 6031 ათასი მანეთის ოდენობით. 10 მარტს ეს ციფრი კვლავ შეიცვალა — ისევ გაჩნდა 6100 ათასი მანეთი ეკონომია, ხოლო 11 მარტს — ისევ ახალი ციფრი — 6089 ათასი მანეთი გადახარჯვა. ამრიგად, პროდუქციის თვითღირებულების 1985 წლის ანგარიშმა ოთხჯერ იცვალა სახე, ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ სისტემის საწარმოებსა და გაერთიანებებში მიშვებული იყო პირველადი აღრიცხვა, კომიტეტში ჯეროვან დონეზე არ იდგა საანგარიშგებო დისციპლინა, კომიტეტის თანამდებობის პირები დანაშაულებრივ უპასუხისმგებლობას იჩენდნენ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობისადმი.

კომიტეტში ციფრების მანიპულირება, საქმის ნამდვილი ვითარების შელამაზება, გეგმების კორექტირება ფაქტობრივი შესრულებისათვის მათი მორგების მიზნით სისტემატურ ხასიათს ატარებდა და ღრმად ჰქონდა გადგმული ფესვი. 1985 წლის განმავლობაში კომიტეტმა თავის საწარმოებსა და გაერთიანებებს 296-ჯერ შეუცვალა პროდუქციის წარმოების, ხოლო 332-ჯერ რეალიზაციის გეგმები.

ყოფილი ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელები წამატებების, თვალისახვევის, ანგარიშგების დამახინჯებათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა ნაცვლად მიმართავდნენ ფორმალურ პასუხებს, ნაკლებად ეფექტიან უსაგნო ბრძანებებისა და მითითებების გაცემას, რითაც ფართოდ უღებდნენ კარს სხვადასხვა ნეგატიურ მოვლენას.

ყოველივე ეს რესპუბლიკის ჩაის მრეწველობის საქმიანობის თითქმის ყველა ხარისხობრივი მაჩვენებლის გაუარესების, დარგის პროდუქციის პრესტიჟის დაცემის ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა.

ხელმიშვებულია პირველადი აღრიცხვა სისტემის საწარმოებსა და გაერთიანებებში, რამაც განაპირობა სახელმწიფო მატერიალური და ფულადი სახსრების დატაცებისა და მითვისების ფაქტები.

სუსტია საანგარიშგებო დისციპლინა თბილისის პარფიუმერია-კოსმეტიკის ფაბრიკა „ივერიაში", რომლის ხელმძღვანელებმა 1985 წლის ანგარიშში პირვანდელ ვარიანტში აჩვენეს თვითღირებულების შემცირება 121 ათასი მანეთით, შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ 850 ათასი მანეთი გადახარჯვა ჰქონია, ურიგდებიან ანგარიშგების უხეშ დარღვევებს შრომის დისციპლინის დამახასიათებელი მაჩვენებლების მიხედვით.

სახალხო მეურნეობაში აღრიცხვისა და ანგარიშგების დაყენების საქმისათვის სამეურნეო ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმისა და სკკპ XXVII ყრილობის მითითებების შესაბამისად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ ანგარიშგების დამახინჯების გზით დირექტიული ორგანოების სისტემატური მოტყუებისათვის, წამატებებისა და თვალისახვევის დაშვებისათვის სკკპ რიგებიდან გარიცხა საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე ე. მალაზონია და მიზანშეუწონლად ცნო მისი ყოფნა საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის სუბტროპიკული კულტურების წარმოებისა და ჩაის გადამუშავების მთავარი სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილის თანამდებობაზე.

იმის გამო, რომ ვერ უზრუნველყო ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის ეკონომიკური სამსახურების ჯეროვანი ხელმძღვანელობა, ჩაშალა სისტემაში ეკონომიკური მუშაობა, მანიპულირებდა სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების მონაცემებით, ამახინჯებდა სახელმწიფო სტატისტიკურ ანგარიშგებას და შეცდომაში შეჰყავდა რესპუბლიკის დირექტიული ორგანოები, საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე ა. დანდურიძე გაირიცხა სკკპ რიგებიდან. მიზანშეუწონლად არის მიჩნეული მისი ყოფნა საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის დაგეგმვის, სოციალური და ეკონომიკური განვითარების მთავარი სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილის თანამდებობაზე.

პარტიის ქ. თბილისის პირველი მაისის რაიკომის გადაწყვეტილების შესაცვლელად ცენტრალური კომიტეტის ბიურომ კონტროლის შესუსტებისათვის, რასაც მოჰყვა საანგარიშგებო მონაცემების დამახინჯება, 1985 წელს სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების გადახარჯვის დაშვებისათვის სკკპ წევრს, თბილისის პარფიუმერია-კოსმეტიკის ფაბრიკა „ივერიის" დირექტორს დ. სილაგავას გამოუცხადა სასტიკი საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით.

ამ საკითხზე მიღებული დადგენილების შინაარსი გამოქვეყნდება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ მოისმინა საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის მდივნის, სკკპ წევრის ამხ. ო. გვასალიას ანგარიში შემოქმედ ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ. ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ მთლიანად დადებითად შეაფასა მუშაობა ახალგაზრდა კინემატოგრაფისტებთან და ძირითადი ყურადღება მიაპყრო იმას, რომ საჭიროა შემდგომი საქმიანობა წარმართონ სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად. ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ახალგაზრდობის შემოქმედების იდეური, პოლიტიკური მიმართულების გაძლიერებას, მიზნად დაუსახონ თანამედროვეობის ამსახველი აქტუალური თემატიკის შერჩევა. ამ საკითხზე მიღებული დადგენილების შინაარსი გამოქვეყნდება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ დაამტკიცა სკკპ წევრის, „თბილისგაზის" საწარმოო ტრესტის მმართველის, საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ი. ხეროდინაშვილის დახასიათება. ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ აღნიშნა მისი პროფესიული კომპეტენტურობა და ამხ. ი. ხეროდინაშვილის ყურადღება მიაპყრო იმას, რომ მეტ სიმტკიცეს უნდა იჩენდეს გაზის მეურნეობის ექსპლოატაციის უსაფრთხოების დაცვისათვის ბრძოლაში, ნიადაგ ზრუნავდეს კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისა და სწორი განაწილებისათვის, ეწეოდეს მიზანდასახულ იდეურ-აღმზრდელობით მუშაობას კოლექტივში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს და სამდივნოს სხდომებზე მიიღეს აგრეთვე გადაწყვეტილებანი რესპუბლიკის ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ზოგიერთ სხვა საკითხზე.

## მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა ს. მაშელს

**1 აპრილს** სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა ფრელიმოს პარტიის თავმჯდომარეს, მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტს ს. მაშელს.

მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა, თუ რა მუშაობა წარმოებს ჩვენს ქვეყანაში სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად, ილაპარაკა ღონისძიებებზე, რომლებსაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო ახორციელებენ მსოფლიოში ვითარების გაჯანსაღების, დედამიწაზე ბირთვული იარაღის ლიკვიდაციისა და კოსმოსში გამალებული შეიარაღების თავიდან აცილების ინტერესებისათვის. ხაზგასმით აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირი მტკიცედ და თანამიმდევრულად იღვწის, რათა მსოფლიოს სხვადასხვა რაიონში მიღწეულ იქნეს კონფლიქტური სიტუაციების სამართლიანი პოლიტიკური მოწესრიგება, ამასთან უცილობლად სცენ პატივი ყოველი ხალხის უფლებას — დამოუკიდებლად ირჩევდეს თავისი განვითარების გზას.

ს. მაშელმა განაცხადა, რომ მოზამბიკში სკკპ XXVII ყრილობას მიიჩნევენ უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობის მოვლენად, სავსებით იზიარებენ ყრილობაზე წამოყენებულ იდეას, რომ შეიქმნას საერთაშორისო უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემა. მან მ. ს. გორბაჩოვს გააცნო, თუ რა საქმიანობას ეწევა ფრელიმოს პარტია მოზამბიკელი ხალხის დასარაზმავად, რათა საკადრისი პასუხი გასცენ იმპერიალისტების, რასისტებისა და მათი აგენტურის ცდებს, რომლებიც ისწრაფვიან აცდინონ მოზამბიკი ახალი ცხოვრების შენების გზას. ს. მაშელმა უღრმესი მადლობა მოახსენა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს, რომლებიც უანგაროდ ეხმარებიან და მხარში უდგანან მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკას.

შეხვედრის მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ აფრიკის სამხრეთში დაძაბული და ავისმომასწავებელი სიტუაციის მიზეზია აფრიკის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა მიმართ აგრესიისა და ჩარევის პოლიტიკა, რომელსაც ახორციელებს იმპერიალისტური ძალებით ზურგგამაგრებული პრეტორიის რასისტული რეჟიმი, ამ რეჟიმის მიერ ნამიბიის უკანონო ოკუპაცია, აპარტეიდის საზარელი სისტემის თვით არსებობა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში. მათ გადაჭრით დაგმეს ამერიკის შეერთებული შტატებისა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ეგრეთ წოდებული „კონსტრუქციული თანამშრომლობა". დაადასტურეს, რომ სოლიდარობენ ვაჟკაცურ ბრძოლას, რომელსაც თავისუფლებისათვის ეწევიან სამხრეთ აფრიკისა და ნამიბიის ხალხები აფრიკის ქვეყნების ეროვნული კონგრესისა და სვაპოს ხელმძღვანელობით.

შეხვედრის დროს გამოითქვა ორმხრივი მისწრაფება კვლავაც განავითარონ და გააღრმაონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ფრელიმოს პარტიის, საბჭოთა კავშირისა და სახალხო მოზამბიკის მეგობრობისა და თანამშრომლობის ურთიერთობა.



სურათზე: შეხვედრის დროს.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

შეათანხმეს მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც უნდა განახორციელონ ამ მიმართულებით. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა განაცხადა, რომ მოზამბიკელ ხალხს შეუძლია თავის სამართლიან ბრძოლაში კვლავაც მტკიცედ იქონიოს საბჭოთა ხალხის მხარდაჭერის იმედი.

ს. მაშელმა ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვს სთხოვა ეწვიოს მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკას. მიწვევას მადლობით დათანხმდნენ.

შეხვედრამ გულთბილ, ამხანაგურ ვითარებაში ჩაიარა.

(საკდესი).

## ავსტრალიელები ტაშს უკრავენ

**სიდნეი. 30 მარტი.** („პრავდის" საკ. კორ). ავსტრალიაში უდიდესი წარმატებით ჩაიარა თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრის გასტროლებმა. ქართველი მსახიობები ჯერ პერტში (დასავლეთ ავსტრალიის შტატი), შემდეგ კი ადელაიდაში (სამხრეთ ავსტრალიის შტატი) მიიწვიეს კულტურის ფესტივალებში მონაწილეობის მისაღებად. ადგილობრივმა თეატრალურმა კრიტიკამ დიდად აქო ამ თეატრის დადგმები და ჩვენც გაუზვიადებლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ „რიჩარდ III" და „კავკასიური ცარცის წრე" ქართველ მსახიობთა შესრულებით მთავარ მოვლენად იქცა ორივე ქალაქის ტრადიციულ დღესასწაულზე. სულ კი 23 წარმოდგენა გაიმართა.

ახლა, როცა გასტროლები დამთავრდა, ადგილობრივი პრესა წინასწარმეტყველებს, რომ რუსთაველის თეატრის ჩამოსვლა დიდ და ხანგრძლივ გავლენას მოახდენს ავსტრალიელ სცენის მუშაკებზე. თანაც, როგორც ჩანს, — არა მარტო შემოქმედებითს, „შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის წარმატება საყოველთაოდ აღიარებული და უდავო იყო, — აღნიშნავს ყოველკვირეული „ბიულეტინის" თეატრალური კრიტიკოსი. — ავსტრალიისაგან განსხვავებით საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, აშკარად ჩანს, უფრო მეტს ზრუნავს თავისი შემოქმედი ტალანტებისათვის და ყოველნაირად უწყობს ხელს მათს განვითარებას...".

**ო. ხკალკინი,**
„პრავდა". 1986 წ. 31 III.

# საბჭოთა კავშირ-მოზამბიკის მოლაპარაკება კრემლში

[illegible]

...ების მოვაგვაროთ განვითარების საჭიროებებს, შიმშილის, უწიგნურობის, სიღატაკისა და დაავადებების ლიკვიდაციას განთავისუფლებულ ქვეყნებში. აღინიშნა, რომ ბირთვული განიარაღების საბჭოური პროგრამა საერთაშორისო უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემის ძირითადი ელემენტია, რომლის შექმნის იდეა ჩამოაყალიბა სკკპ XXVII ყრილობამ. ამ სისტემის საფუძვლები მოიცავს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა სფეროს — სამხედრო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ სფეროებს.

ს. მაშელმა დაადასტურა, რომ მოზამბიკი მხარს უჭერს საბჭოთა კავშირის საგარეო-პოლიტიკურ ინიციატივებს, რომელთა [illegible]

[illegible] ...ტიკურ მოწესრიგებას სამართლიან საწყისებზე, გარედან ჩაურევლად.

მოლაპარაკების დროს მხარეებმა კვლავ განაცხადეს, რომ სოლიდარობენ ლიბიის ხალხს და მკაცრად დაგმეს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული აქციები აფრიკის ამ სუვერენული ქვეყნის წინააღმდეგ.

აღინიშნა, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ხელშეწყობისა და „დაშოშმინების“ პოლიტიკა, რომელსაც დასავლეთის ქვეყნები, უწინარეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებული შტატები ადგანან, რასისტებს აქეზებს ახალი აგრესიული აქციებისათვის აფრიკის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა წინააღმდეგ, ახალი სისხლიანი რეპრესიებისათვის აპარ- [illegible]

...სადილად მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელთან და მის მეუღლესთან ერთად იყვნენ მოზამბიკის პარტიული და სახელმწიფო მოღვაწენი.

საბჭოთა კავშირის მხრივ სადილად იყვნენ მ. ს. გორბაჩოვი მეუღლითურთ, ა. ა. გრომიკო მეუღლითურთ, ნ. ი. რიჟკოვი მეუღლითურთ, ვ. ი. ვოროტნიკოვი, ე. ა. შევარდნაძე, ს. ლ. სოკოლოვი, ნ. ვ. ტალიზინი, ა. თ. დობრინინი, სხვა ოფიციალური პირნი.

სადილზე, რომელმაც მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, მ. ს. გორბაჩოვმა და ს. მ. მაშელმა სიტყვები წარმოთქვეს, რომლებიც დამსწრეთ დიდი ყურადღებით მოისმინეს და ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ. (საქტაგი).

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა

[illegible] ...ნების ნათელი ხედვით, დაგვისახა პრაქტიკაზე მათი გარდამქმნელი ზემოქმედების ფართო ჰორიზონტები. ახლა საჭიროა თითოეულმა საბჭომ ყოველმხრივ გაიაზროს ყრილობის დებულებანი, დააკონკრეტოს ისინი თავისი პირობების კვალობაზე და ხორცი შეასხას მოქმედების საბრძოლო პროგრამად. ასეთი მუშაობა უკვე დაიწყო ჩვენი წარმომადგენლობითი სისტემის ყველა დონეზე.

საჭიროა ყველაფერი ვიღონოთ, აღინიშნა მოხსენებასა და პრეზიდიუმის სხდომის მონაწილეთა გამოსვლებში, რათა ყველა საფეხურის საბჭოებმა მთელ ქვეყანაში დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა განხორციელების მეოხებითაც გააქტიურებენ თავიანთ მოღვაწეობას ცხოვრების ყველა სფეროში, ყველგან დაამკვიდრებენ საქმიან მიდგომას, გააფართოებენ საჯაროობას, გააძლიერებენ კონტროლს საქვეანგარიშო ორგანოების საქმიანობისადმი, განავითარებენ დეპუტატთა აქტიურობას, განამტკიცებენ მათს კავშირს მოსახლეობის ყველა ფენასთან, შრომითს კოლექტივებთან, ფართო საზოგადოებრიობასთან. საბჭოების წინაშე მდგომი ამოცანების მთელ ერთობლიობაში საკვანძო ამოცანაა ნიადაგ სრულვყოთ ჩვენი მუშაობის სტილი დროის მოთხოვნების სულისკვეთებით. ყრილობის დებულებებმა, მისმა ატმოსფერომ, განწყობამ შექმნა ახლებურად მუშაობის პირობები. მაგრამ საჭიროა აგრეთვე ჯეროვანი მისწრაფება, ცვლილებათა გადაუდებლობისა და აუცილებლობის გაგება.

ცხოვრება მოითხოვს კიდევ უფრო გაძლიერდეს ხელისუფლების ორგანოების დამოუკიდებლობა, პასუხისმგებლობა ყველაფერში, რაც ეხება ადამიანთა საჭიროებებისა და კანონიერი ინტერესების დაკმაყოფილებას, ადგილობრივ შესაძლებლობათა გამოყენებაში, საბჭოების ტერიტორიაზე განლაგებულ ორგანიზაციათა კოორდინაციასა და მუშაობისადმი კონტროლში.

ერთ-ერთი გადაუდებელი ამოცანაა გააქტიურდეს ყველა რგოლის საბჭოების დეპუტატთა საქმიანობა, გაძლიერდეს მათი პასუხისმგებლობა დეპუტატის მოვალეობათა განხორციელების, სახელმწიფოს მართვის ხელოვნების დაუფლებისათვის, გაეწიოთ მათ ყოველმხრივი დახმარება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანების შესახებ, რომელიც პრესაში გამოქვეყნდება.

სხდომაზე განიხილეს და მოიწონეს იმ ძირითადი ღონისძიებათა გეგმა, რომლებიც 1986 წელს უნდა განხორციელდეს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა აგრეთვე სახელმწიფო ცხოვრების ზოგიერთი სხვა საკითხი.

დღის წესრიგის საკითხთა განხილვაში მონაწილეობდნენ ამხანაგები მ. ს. გორბაჩოვი, ლ. ნ. ზაიკოვი, დ. ა. კუნაევი, ვ. ვ. შჩერბიცკი, ნ. ნ. სლიუნკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, პრეზიდიუმის წევრები და სხვები.

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

## სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანები, რომლებიც სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარეობს

**როგორც** უკვე ვიუწყებოდით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამა წლის 31 მარტის სხდომაზე განიხილა სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანების საკითხი.

ამ საკითხზე მიღებულ დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობა გახდა თვალსაჩინო მოვლენა პარტიისა და საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში.

პარტიის XXVII ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენება, რომელიც გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა, ყრილობის რეზოლუცია მოხსენების გამო, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქცია, სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტებია. ისინი ლენინური პოზიციებიდან განსაზღვრავენ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების, თვისებრივად ახალ საფეხურზე საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის აყვანის, საზოგადოების შემდგომი დემოკრატიზაციის, ხალხის სოციალისტური თვითმმართველობის გაღრმავების, მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლის სტრატეგიას. ყრილობის მასალებში უაღრესად მკაფიოდ არის გაშუქებული სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლი და ადგილი პარტიის ნოვატორული კურსის რეალიზაციაში, საბჭოთა სახელმწიფოს შეუნელებელი განვითარების ყველა მხარის სრულყოფაში, დასახულ ამოცანათა განსახორციელებლად მასების დარაზმვაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა განუხრელი ხელმძღვანელობისა და შესრულებისათვის მიიღონ სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებანი.

სახალხო დეპუტატთა საბჭოებს წინადადება მიეცათ განამტკიცონ ყრილობით გამოწვეული საქმიანი განწყობილება, მის მიერ შექმნილი დიდი პრინციპულობის, ნაკლოვანებებისა და ხარვეზების გულახდილი გამოვლენისა და მათი მტკიცე დაძლევის ატმოსფერო. უზრუნველყონ საბჭოების საქმიანობის ყოველმხრივი გაუმჯობესების, სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ყველა სფეროში მათი როლისა და პასუხისმგებლობის გადიდების შესახებ პარტიის მოთხოვნათა უთუო განხორციელება.

უაღრესად აქტიური მონაწილეობა მიიღონ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საფუძველზე განვითარების ინტენსიურ გზაზე სახალხო მეურნეობის გადაყვანის შესახებ პარტიის საპროგრამო მიზანდასახულობათა პრაქტიკულ რეალიზაციაში, კონკრეტული წვლილი შეიტანონ მართვის სრულყოფაში, მთელი მუშაობის ხარისხის ძირეულ გაუმჯობესებაში, სოციალური პოლიტიკის განხორციელებაში, სოციალისტური დემოკრატიის გაღრმავებაში.

საბჭოების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ბეჯითად განახორციელონ პარტიის თანამედროვე აგრარული პოლიტიკა, არსებითად გააუმჯობესონ სურსათით მოსახლეობის მომარაგება. უზრუნველყონ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მომსახურების სფეროს განვითარების კომპლექსური პროგრამის შესრულება, გაადიდონ თითოეული რესპუბლიკის, მხარის, ოლქის, სახალხო მეურნეობის თითოეული დარგის, შრომითი კოლექტივების წვლილი ამ ამოცანათა გადაწყვეტაში.

საბჭოები მოვალენი არიან აქტიურად იღვაწონ 1986 წლისა და მთლიანად მეთორმეტე ხუთწლედის საგეგმო დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ სათბობის, ელექტროენერგიის, ლითონის, სხვა მასალების ეკონომიის საკითხებს, დღენიადაგ იზრუნონ ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის.

სახალხო დეპუტატთა საბჭოებს მიეცათ რჩევა საბჭოების სესიებზე განიხილონ სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ამოცანები. ყოველმხრივ, მომთხოვნელად და თვითკრიტიკულად, პარტიის მოთხოვნათა სულისკვეთებით გააანალიზონ ორგანიზატორული და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა, შეიმუშაონ და განახორციელონ ყრილობის მითითებათა რეალიზაციის პრაქტიკული ღონისძიებანი. მიღებულ გადაწყვეტილებებსა და გეგმებს უნდა ჰქონდეთ კონკრეტული ხასიათი. ამასთან მითითებული უნდა იყოს ვადები და შემსრულებლები, გამსჭვალული იყოს მათი შესრულებისათვის ხალხის წინაშე პასუხისმგებლობის სულისკვეთებით.

უზრუნველყონ, რომ საბჭოების მიერ პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების ორგანიზაცია სახელმწიფო ხელისუფლების თითოეული ორგანოს საქმიანობის საფუძველი გახდეს.

მთელი ყურადღება მიაპყრონ ორგანიზებულობისა და დისციპლინის განმტკიცებას, უყაირათობის, ინერციისა და კონსერვატიზმის დაძლევას, მიაღწიონ, რომ საბჭოების ყველა რგოლი მოქმედებდეს ინიციატივიანად და პასუხისმგებლობით, მთლიანად იყენებდეს სსრ კავშირის კონსტიტუციითა და კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებას.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების, მათი პრეზიდიუმების, მუდმივი კომისიების ყურადღების ცენტრში უნდა იდგეს თითოეული რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული განვითარების დაჩქარების, ქვეყნის ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის განმტკიცებაში მათი წვლილის გადიდების, ქვემდგომი საბჭოების საქმიანობისადმი ხელმძღვანელობის სტილისა და მეთოდების სრულყოფის საკვანძო საკითხები.

რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებს წინადადება მიეცათ გულმოდგინედ იმუშაონ კანონმდებლობის განვითარებისა და სრულყოფისათვის, კანონების ზუსტად და განუხრელად შესრულების უზრუნველყოფის, მართვის ეკონომიკური მეთოდების დანერგვაზე, შრომისა და მოხმარების ოდენობისადმი კონტროლზე მათი გაძლიერებისათვის.

გაზარდონ ანგარიშვალდებული ორგანოებისადმი საბჭოების კონტროლის ქმედითობა, მეტად დაუსახონ მას მიზნად საბოლოო შედეგების მიღწევა, ნაკლოვანებათა აღმოფხვრა. უფრო სრულად გამოიყენონ უმაღლესი საბჭოებისა და მათი პრეზიდიუმების წინაშე მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სამინისტროებისა და უწყებების, სხვა სახელმწიფო ორგანოების რეგულარული ანგარიშების შესახებ კონსტიტუციური დებულებანი. ანგარიშგება უნდა იყოს საქმიანი, თვითკრიტიკული და მომთხოვნელი, ისეთი, რომელიც გამორიცხავს კანცელარიულ ჯანჯლობას.

უზრუნველყონ პროფკავშირებთან, კომკავშირთან, სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან სახალხო დეპუტატთა საბჭოების მჭიდრო ურთიერთმოქმედება. საბჭოების სესიებზე, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებისა და მინისტრთა საბჭოების, ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების სხდომებზე სისტემატურად განიხილონ მათი წინადადებანი, განსაკუთრებით, მეურნეობის ცალკეულ დარგებში მდგომარეობის, რეგიონების განვითარების საკითხებზე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სახალხო დეპუტატთა საბჭოებს დაავალა გააძლიერონ მუშაობა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური და სულიერი განვითარების დაჩქარებისათვის მასების დასარაზმავად. ყოველმხრივ შეუწყონ ხელი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების საკითხთა გადაწყვეტაში ყველა მშრომელის, მათი კოლექტივებისა და ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობის პირობების შექმნას. სახელმწიფო გეგმების უთუო შესრულების საფუძველზე მიაღწიონ ძირეულ გარდატეხას თავიანთ ტერიტორიებზე კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარების უზრუნველყოფაში, დამოუკიდებლად გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის ამოცანები. გააძლიერონ ხელმძღვანელობა საბჭოებს დაქვემდებარებული სახელმწიფო ორგანოებისადმი, საწარმოებისადმი, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისადმი. მუდმივი ყურადღება დაუთმონ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ზემდგომი დაქვემდებარების საწარმოებისა და ორგანიზაციების საქმიანობის კოორდინაციასა და კონტროლს.

გულმოდგინედ განახორციელონ ღონისძიებანი, რათა უზრუნველყონ ადამიანები კეთილმოწყობილი ბინებით, თვისებრივად გააუმჯობესონ ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, ტრანსპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სახალხო განათლების, საბინაო-კომუნალური მეურნეობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროს ყველა საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის მუშაობა, დააკმაყოფილონ მოქალაქეთა მოთხოვნილება სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებებზე. ყოველმხრივ შეუწყონ ხელი მასობრივი ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებას, ადამიანთა შინაარსიანი დასვენების ორგანიზაციას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევას.

სახალხო დეპუტატთა საბჭოების განსაკუთრებული საზრუნავი უნდა გახდეს მოსახლეობასთან და, უწინარეს ყოვლისა, ახალგაზრდობასთან პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და კულტურულ-მასობრივი მუშაობა, საბჭოთა ადამიანების მეცნიერული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება, კომუნიზმის იდეების ერთგულების, საბჭოთა პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის, მაღალი მორალური თვისებების, შრომისა და საზოგადოებრივი მოვალეობისადმი შეგნებული დამოკიდებულების ჩანერგვა. აქტიურად შეუწყონ ხელი შემოქმედების ყოველმხრივი განვითარების, გაბედული ძიების, სოციალისტური გერგილიანობის ორგანიზაციული, მორალური და მატერიალური წანამძღვრების შექმნას, სოციალური სამართლიანობის პრინციპების დამკვიდრებას.

ხელმძღვანელობენ რა ლენინური ეროვნული პოლიტიკის ნაცადი პრინციპებით, შეუნელებელი ყურადღება დაუთმონ სსრ კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობის განვითარება-გაღრმავებას, ეროვნული კულტურების გამდიდრებას, ყოველივე საუკეთესოს გამოყენებას, რასაც იძლევა ჩვენი ქვეყნის თითოეული ხალხის სულიერი მემკვიდრეობა და ტრადიციები.

სახალხო დეპუტატთა საბჭოებს მიეთითათ, რომ საჭიროა საქმით განახორციელონ მტკიცე შემობრუნება თავიანთი მუშაობის შინაარსსა და სტილში პარტიის მოთხოვნების შესაბამისად.

გაზარდონ საბჭოების სესიების ეფექტიანობა, გააძლიერონ მუდმივი კომისიების ანალიზური და საკონტროლო საქმიანობა, გააფართოონ დეპუტატთა მიერ შეკითხვის წესით საკითხების დაყენების პრაქტიკა, საჯაროობა მუშაობაში, გააუმჯობესონ მოსახლეობის ინფორმირება მიღებული გადაწყვეტილებებისა და მათი შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

საბჭოებმა, მათმა აღმასრულებელმა და განმკარგულებელმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ გულისხმიერად და მზრუნველად განიხილავდნენ მოქალაქეთა კონკრეტულ წინადადებებსა და თხოვნებს, არ ურიგდებოდნენ უწყებრიობისა და კუთხურობის, ბიუროკრატიზმის, მათი მოთხოვნილებებისადმი გულგრილი დამოკიდებულების გამოვლინებებს.

საბჭოების სესიებზე, აღმასრულებელი კომიტეტების, მუდმივი კომისიების, დეპუტატთა ჯგუფების სხდომებზე ქმნიდნენ საქმიანობისა და მომთხოვნელობის ვითარებას, რაც უზრუნველყოფს კრიტიკისა და თვითკრიტიკის, აზრთა გულახდილი გაზიარების, მიღწეული შედეგების ობიექტური შეფასების, კონკრეტულ გადაწყვეტილებათა შემუშავების ფართო შესაძლებლობებს.

სრულყონ შრომითს კოლექტივებში და მოსახლეობის საცხოვრებელ ადგილას ცხოვრების აქტუალური საკითხების, საბჭოების გადაწყვეტილებათა პროექტების განხილვის პრაქტიკა, უფრო ეფექტიანად გამოიყენონ პირდაპირი დემოკრატიის ისეთი არხები, როგორიცაა მოქალაქეთა კრებები, ამომრჩეველთა განაწესები, პრესა, რადიო, ტელევიზია, მშრომელთა წერილები, საზოგადოებრივი აზრის გამოვლენის სხვა საშუალებანი, უზრუნველყონ შრომითი კოლექტივების შესახებ კანონით დამკვიდრებული დემოკრატიული პრინციპებისა და ნორმების განხორციელება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გამოთქვა რწმენა, რომ ყველა საფეხურის სახალხო დეპუტატთა საბჭოები, რომლებიც ჩაბმული არიან პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის აღმშენებლობითს საქმიანობაში, უზრუნველყოფენ საბჭოთა სახალხო ხელისუფლების ქმედითობის შემდგომ გაძლიერებას, კონკრეტულ და მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ პარტიის ეკონომიკის სტრატეგიის, მისი სოციალური პოლიტიკის განხორციელებაში, მათ წინაშე დასახული ყველა სხვა ამოცანის გადაწყვეტაში.

(საქტაგი).

# დროის მუსიკალური სახე

**დროის,** საბჭოთა ხალხის მიღწევებთან და ჩანაფიქრებთან წინსვლის ცოცხალი შეგრძნებით შრომობენ ჩვენი ქვეყნის მრავალეროვნული მუსიკალური ხელოვნების ოსტატები.

ბოლო წლებში გაწეული მუშაობის შედეგებს, სოციალისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე საბჭოთა მუსიკის მოღვაწეთა ამოცანებს განიხილავენ კომპოზიტორთა VII საკავშირო ყრილობის დელეგატები. იგი 1 აპრილს გაიხსნა მოსკოვში, კრემლის დიდ სასახლეში.

ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ შეკრებილნი ამხანაგებს მ. ს. გორბაჩოვს, ჰ. ა. ალიევს, ა. ა. გრომიკოს, ვ. ი. ვოროტნიკოვს, ლ. ნ. ზაიკოვს, მ. ს. სოლომენცევს, ე. ა. შევარდნაძეს, ვ. მ. ჩებრიკოვს, პ. ნ. დემიჩევს, ვ. ი. დოლგიხს, ბ. ნ. ელცინს, ს. ლ. სოკოლოვს, ნ. ვ. ტალიზინს, ა. პ. ბირიუკოვას, ა. თ. დობრინინს, ა. ნ. იაკოვლევს, მ. ვ. ზიმიანინს, ვ. ა. მედვედევს, ვ. პ. ნიკონოვს.

პრეზიდიუმში არიან აგრეთვე პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწენი, შემოქმედებითი კავშირების ხელმძღვანელები. ყრილობას ესწრებიან საზღვარგარეთელი სტუმრები.

ყრილობა შესავალი სიტყვით გახსნა ერთ-ერთმა უხუცესმა საბჭოთა კომპოზიტორმა დ. ბ. კაბალევსკიმ.

სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის საანგარიშო მოხსენება გააკეთა გამგეობის პირველმა მდივანმა ტ. ნ. ხრენნიკოვმა.

ჩვენი ყრილობა მიმდინარეობს ღირსშესანიშნავ დროს, თქვა მან. თვეც არ გასულა მას შემდეგ, რაც მუშაობა დაამთავრა სკკპ XXVII ყრილობამ. ეს იყო ჭეშმარიტად განახლების, არნახული დინამიზმით, კონკრეტულობით, საქმიანობით გამსჭვალული ყრილობა. მუსიკოსთა ენით რომ ვთქვათ, მან გაავლო ის ტაქტის ხაზი, რომლის მიღმაც იწყება ჩვენი წინსვლის ახალი ტემპი და რიტმი.

ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში, იქ მიღებულ დოკუმენტებში ხაზგასმულია ხელოვნების მზარდი როლი, მისი ზემოქმედება საზოგადოებრიობაზე, თითოეულ ადამიანზე. საბჭოთა მუსიკოსებს, რომლებიც მუდამ ხალხის ნაწილად გრძნობენ თავს, ახლაც სრულად აქვთ შეგნებული თავიანთი მისიის მნიშვნელობა და პასუხისმგებლობა, აღინიშნა მომხსენებელმა.

კომპოზიტორთა ორგანიზაციის საქმიანობა მიზნად ისახავდა კომუნისტური მშენებლობის ამოცანებთან მუსიკალური შემოქმედების კავშირის, ფართო აუდიტორიასთან ხელოვნების ოსტატთა კონტაქტების ყოველმხრივ განმტკიცებას.

პარტიული მომთხოვნელობის პოზიციებიდან დაახასიათა მომხსენებელმა საბჭოთა მუსიკის, სიმფონიური, სასიმღერო მუსიკის განვითარების ძირითადი ტენდენციები და პერსპექტივები, შეეხო მუსიკალური თეატრის მდგომარეობას.

გამოსვლის მნიშვნელოვანი ნაწილი მიეძღვნა შემოქმედებითი ცვლის აღზრდას.

მუსიკალური ხელოვნების გავრცელებაში, მუსიკასთან მილიონობით მშრომელის ზიარებაში დიდმნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს საკავშირო მუსიკოსთა საზოგადოებამ, რომელიც სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის ინიციატივით იქმნება.

ცენტრალური სარევიზიო კომისიის მოხსენება გააკეთა მისმა თავმჯდომარემ ი. მ. ალექსანდროვმა.

შემდეგ ყრილობაზე დაიწყო კამათი მოხსენებების გამო.

ყრილობა მუშაობას განაგრძობს.

(საქტაგი).

# მოსკოვიდან გაფრინდა

**1 აპრილს** ფრელიმოს პარტიის თავმჯდომარე, მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი სამორა მოიზეს მაშელი მეუღლითურთ საბჭოთა კავშირიდან გაემგზავრა. იგი ჩვენს ქვეყანაში იმყოფებოდა მეგობრულ სამუშაო ვიზიტად საბჭოთა ხელმძღვანელობის მოწვევით.

აეროდრომზე მეგობარი ქვეყნის ხელმძღვანელი და მისი მეუღლე გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. ა. გრომიკომ მეუღლითურთ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. ა. შევარდნაძემ, სხვა ოფიციალურმა პირებმა.

• • •

გაფრენის წინ ს. მ. მაშელი იყო ვ. ი. ლენინის მავზოლეუმში და გვირგვინით შეამკო იგი. გვირგვინით შეამკო აგრეთვე უცნობი ჯარისკაცის საფლავი კრემლის გალავანთან.

(საქტაგი).

# ცნობები ორბიტიდან

**ფრენის მართვის ცენტრი, 1 აპრილი. (საქტაგი).** დასახული პროგრამის შესაბამისად ლეონიდ კიზიმი და ვლადიმერ სოლოვიოვი განაგრძობენ „მირ“ ორბიტული სადგურის გამოცდას პილოტირებული ფრენის რეჟიმით.

გუშინ კოსმონავტები აკონტროლებდნენ ცალკეული აგრეგატებისა და აპარატურის ფუნქციონირებას, ეწეოდნენ საბორტო-საინფორმაციო გამოთვლითი კომპლექსის გამართვას.

# სკკპ დელეგაცია სოფიას გაემგზავრა

**ბულგარეთის** კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიწვევით 1 აპრილს მოსკოვიდან სოფიას გაემგზავრა სკკპ დელეგაცია, რომელსაც სათავეში უდგას სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ი. რიჟკოვი. იგი მონაწილეობას მიიღებს ბულგარეთის კომპარტიის XIII ყრილობის მუშაობაში.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. პ. რაზუმოვსკი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, პარტიის ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. ნ. გერასიმოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, მოსკოვის ოლქის ლენინის რაიონის სახელმწიფო სანაშენე „კომუნარის“ მანქანური წველის ოპერატორი მ. ს. გრომოვა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის ელჩი ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში ლ. ი. გრეკოვი. აეროდრომზე დელეგაცია გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ლ. ნ. ზაიკოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. ა. მედვედევმა, სხვა ოფიციალურმა პირებმა.

• • •

ამავე დღეს სკკპ დელეგაცია სოფიაში ჩავიდა. აეროპორტში მას დახვდნენ ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ტ. ჟივკოვი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. ათანასოვი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები ჩ. ალექსანდროვი, მ. ბალევი, ო. დოინოვი, ი. იოტოვი, პ. კუბადინსკი, პ. მლადენოვი, ს. ტოდოროვი, გ. ფილიპოვი, დ. ჯუროვი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატები პ. დიულგეროვი, გ. იორდანოვი, ა. ლუკანოვი, ს. მარკოვი, დ. სტოიანოვი, გ. სტოიჩკოვი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები კ. ზარევი, ს. მიხაილოვი, დ. სტანიშევი, ვ. ცანოვი, ე. ხრისტოვი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ს. კარაჯოვი, სხვა ოფიციალური პირნი.

დამხვდურთა შორის იყო ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში დ. ჟულევი.

# შეწყდეს ბირთვული აფეთქებები

**1 აპრილს** სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისათვის გაიმართა პრესკონფერენცია, რომელიც მიეძღვნა ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლას საბჭოთა ტელევიზიით და მის წერილს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისადმი. პრესკონფერენციას უძღვებოდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე გ. მ. კორნიენკო, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრები ვ. ფ. პეტროვსკი, ვ. ბ. ლომეიკო.

პრესკონფერენციის გახსნისას გ. მ. კორნიენკომ თქვა: ის ფაქტი, რომ 29 მარტს საბჭოთა ტელევიზიით მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლა სპეციალურად მიეძღვნა ბირთვული გამოცდების შეწყვეტის საკითხს, მოწმობს იმ უდიდეს მნიშვნელობას, რომელსაც ამ საკითხს საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობა ანიჭებს.

ამ მიმართულებით ჩვენი ღონისძიებების კონცენტრაცია შემდეგი მოსაზრებებით აიხსნება.

ჯერ ერთი, ბირთვული იარაღის გამოცდების შეწყვეტის საკითხი, რომელიც მ. ს. გორბაჩოვის 15 იანვრის განცხადებაში წამოყენებული ბირთვული განიარაღების ზოგადი პროგრამის ორგანულ ნაწილს შეადგენს, ამასთან ერთად სავსებით ექვემდებარება დამოუკიდებელ, თანაც სწრაფ გადაწყვეტას — რა თქმა უნდა, იმ პირობით, თუ ორმხრივი სურვილი იქნება.

მეორე, ისეთი ღონისძიების მოჩვენებითი შეზღუდულობის მიუხედავად, როგორიც არის ბირთვული გამოცდების აკრძალვა, სინამდვილეში მათი შეწყვეტა ყველაზე რეალური, ყველაზე უბრალო და ყველაზე ეფექტიანი ნაბიჯია გამალებული ბირთვული შეიარაღების შეწყვეტის, მნიშვნელოვანწილად კი კოსმოსში გამალებული შეიარაღების თავიდან აცილების გზაზე.

დღეს უმთავრესია შევაჩეროთ გამალებული შეიარაღება, მკვდარი წერტილიდან დავძრათ განიარაღების, უწინარესად ბირთვული განიარაღების პროცესი.

სწორედ ამის გულისთვის გა-

### პრესკონფერენცია მოსკოვში

დაწყვიტა საბჭოთა კავშირმა გადაედგა სასიკეთო მაგალითის სახით ცალმხრივი გაბედული ნაბიჯი: მან გასული წლის 6 აგვისტოდან შეწყვიტა ყოველგვარი — როგორც სამხედრო, ისე მშვიდობიანი — ბირთვული აფეთქებები. ამ მორატორიუმის თავდაპირველი ვადა — ამა წლის 1 იანვარი — შემდეგ 31 მარტამდე გახანგრძლივდა.

და აი, ახლა საბჭოთა კავშირმა ახალი კონსტრუქციული ნაბიჯი გადადგა. როგორც გამოცხადდა მ. ს. გორბაჩოვის პასუხში ექვსი სახელმწიფოს ლიდერებისადმი და დადასტურდა მის გამოსვლაში ტელევიზიით 29 მარტს, საბჭოთა კავშირი ბირთვულ აფეთქებებს არ მოაწყობს 31 მარტის, ცალმხრივი მორატორიუმის გახანგრძლივებული ვადის ამოწურვის, შემდეგაც — სანამ ასეთ გამოცდებს არ მოაწყობს შეერთებული შტატებიც.

წინააღმდეგ შემთხვევაში საბჭოთა კავშირი ბირთვულ გამოცდებს განაახლებს. ეს, როგორც მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა, სავსებით ცხადი უნდა იყოს. სსრ კავშირი ვერ გასწირავს საკუთარ უშიშროებას და თავისი მოკავშირეების უშიშროებას.

მაგრამ ეს ჩვენი არჩევანი არ იქნებოდა — ჩვენი ყველა ფიქრი და მთელი ძალისხმევა ხმარდება სწორედ იმას, რომ არ დავუშვათ მოვლენების ასეთი განვითარება. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მზად არის ბირთვული გამოცდების შეწყვეტის შესახებ მორიგების მისაღწევად უახლოეს ხანსვე შეხვდეს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ევროპის რომელიმე დედაქალაქში.

საერთაშორისო საქმეებში სასიკეთო შემობრუნების, მშვიდობის განმტკიცების უზრუნველყოფისათვის ზრუნვით არის გამსჭვალული 28 მარტს გამოქვეყნებული მ. ს. გორბაჩოვის წერილიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის პერეს დე კუელიარისადმი მშვიდობის საერთაშორისო წლის გამო.

საბჭოთა კავშირი, როგორც ცნობილია, პირველი გამოეხმაურა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ შარშან ოქტომბერში მიღებულ დეკლარაციას, რომელმაც 1986 წელი მშვიდობის საერთაშორისო წლად გამოაცხადა. სსრ კავშირში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეს გადაწყვეტილება ბირთვული საფრთხის თავიდან აცილების დიდ და ეფექტიან ღონისძიებათა ძიების დამატებით პოლიტიკურ სტიმულად აღიქვეს.

პრინციპული მნიშვნელობის სწორედ ასეთი ღონისძიებების კომპლექსი ჩამოაყალიბა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა 15 იანვრის განცხადებაში, ხოლო შემდეგ ეს კომპლექსი დადასტურდა და განვითარდა პარტიის XXVII ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში. ყრილობაზე ჩამოყალიბებული საერთაშორისო უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემის პრინციპული საფუძვლები ჰარმონიულად ეთანხმება მშვიდობის საერთაშორისო წლის მიზნებსა და ამოცანებს, ისევე როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას.

პასუხი გაეცა ჟურნალისტების მრავალრიცხოვან კითხვებს.

(საქტაგი).





ჰიდრომეტცენტრის ინფორმაციას მოუთმენლად ელიან ხოლმე მიწათმოქმედები, მფრინავები, მებადურები, რესპუბლიკის მთელი მოსახლეობა. და საქართველოს ვ. პ. ლომინაძის სახელობის ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის ჰიდრომეტეოროლოგიური ცენტრის ცნობებიც არ აგვიანებს.

სურათებზე: ინჟინერ-პროგრამისტი მარინე არაბიძე ამუშავებს მიღებულ ინფორმაციებს; იქმნება პროგნოზის რუკა.

ი. შლამოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

# საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## თბილისის ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

**მედიცინის** მეცნიერების, პრაქტიკული მედიცინის განვითარებაში წვლილისათვის, სამეცნიერო და საექიმო კადრების მომზადებისათვის და დაარსების 50 წლისთავთან დაკავშირებით თბილისის ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. გილაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1986 წლის 2 აპრილი.

# სამუდამოდ ხალხის გულში

## ს. მ. კიროვის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება

**ს. მ. კიროვის** დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა საქართველოს დედაქალაქის პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და თბილისის გარნიზონის ჯარის ნაწილების წარმომადგენელთა საზეიმო კრება. იგი 31 მარტს გაიმართა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში.

კრების დაწყებამდე მისი მონაწილენი მივიდნენ ქალაქის კიროვის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში და ყვავილებით შეამკეს გამოჩენილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწის ძეგლი. გვირგვინის ალისფერ ლენტზე წარწერილია: „ს. მ. კიროვს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან".

საზეიმო კრების პრეზიდიუმში არიან ამხანაგები გ. ა. ანდრონიკაშვილი, გ. ა. ანჩაბაძე, გ. დ. გაბუნია, გ. ნ. ენუქიძე, ო. გ. ვარძელაშვილი, კ. ა. კოჩეტოვი, ბ. ვ. ნიკოლსკი, ტ. ვ. როსტიაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ნ. ა. ჭითანავა, ვ. ი. ალავიძე, ვ. გ. ლორთქიფანიძე, თ. ი. მოსაშვილი, ნ. რ. საჯაია, პარტიის ვეტერანები, წარმოების მოწინავენი, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, მხედართმთავრები, ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ო. ე. ჩერქეზიამ.

მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ნ. ენუქიძემ.

დამსწრეთ მოისმინეს ამაღელვებელი ნაამბობი ურყევ ბოლშევიკ-ლენინელზე, რომლის მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა ახალი ცხოვრებისათვის, უკეთესი, ნათელი მერმისისათვის, კომუნიზმის იდეალების გამარჯვებისათვის დაუცხრომელი და განუწყვეტელი ბრძოლა იყო.

იმის შესახებ, თუ რა კონკრეტულ საქმეებად ხორციელდება ამ პრინციპის დაცვა, რაოდენ საჭიროა ვსწავლობდეთ სიმამაცესა და ოპტიმიზმს, სიკეთესა და თავმდაბლობას, იდეურ სიმტკიცესა და მტკიცე მოქმედებას ისეთი ადამიანებისაგან, როგორიც არის კიროვი, ილაპარაკეს კრებაზე თბილისის ქარხანა „საქსოფლმანქანის" ხარატმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა გ. ვ. გამჭაშვილმა, კომკავშირის თბილისის კიროვის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. ი. ჰანტურიამ, ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორმა ფ. მ. მახარაძემ.

საზეიმო კრების მონაწილეებმა ფეხზე ამდგარმა შეასრულეს პარტიული ჰიმნი „ინტერნაციონალი".

(საქინფორმი).

# იღრმავებენ ეკონომიკურ ცოდნას

**„პროდუქციის** თვითღირებულება და მისი შემცირების გზები" — ამ თემაზე ესაუბრა ჩაის ფაბრიკის ეკონომისტი ანა რუხაძე პარტიის წყალტუბოს რაიკომთან შექმნილი ეკონომიკური ცოდნის შემსწავლელი სკოლის მსმენელებს. მან დამსწრეთ გააცნო მუშაობა, რომელიც საწარმოში გაჩაღდა ნაკლები შრომითი დანახარჯებით მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების შესახებ სკკპ XXVII ყრილობის დოკუმენტებში ჩამოყალიბებული დებულებებისა და დასკვნების ხორცშესხმისათვის. აქ ვადაზე ოთხი თვით ადრე გადაეცა საექსპლოატაციოდ ერთი ავტომატური ხაზი, გაფართოვდა და ახალი დიდმწარმოებლური მანქანებით აღიჭურვა საღნობი და სხვა წამყვანი საამქროები. საწარმოს პროდუქციის თვითღირებულების შემცირების ერთ-ერთი ბერკეტი გახდა წყალტუბოს ჩაის ფაბრიკისა და რესპუბლიკის სხვა მოწინავე კოლექტივების გამოცდილების ღრმა შესწავლა.

ეკონომიკური ცოდნის სკოლის მსმენელებმა მოისმინეს აგრეთვე მოხსენებები თემებზე: „შრომის ნაყოფიერება და მისი გადიდების გზები". „პროდუქციის რეალიზაცია წარმოების ეფექტიანობის ზრდის რეზერვია", „სახელმწიფო ბანკი და საწარმო" და სხვ.

## რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტისა და გაზეთ „კომუნისტის"

# ერთობლივი რეიდი

# დროზე დათესილს დროზე მოიმკი

**გაზეთ „კომუნისტისა" და რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის ერთობლივი რეიდის მიზანი ის არის, რომ საგაზაფხულო ხვნა-თესვის მზადების დროს და ამ სამუშაოთა შესრულების პერიოდში დაშვებული შეცდომები დაუყოვნებლივ გამოსწორდეს.**

**ამჯერად მკითხველს ვთავაზობთ წერილს კახეთისა და ქართლის რეგიონების ბარის რაიონებში მოწყობილი რეიდის დროს გამოვლენილი ნაკლოვანებების შესახებ.**

**უახლოეს ხანს ახეთივე რეიდები მოეწყობა რესპუბლიკის ყველა რეგიონში.**



**გაზაფხულმა** თავისი ძალა შირაქის მადლიან მიწასაც აგრძნობინა. ბალახიც და ჭეჭილიც ამწვანდა — სიცოცხლის ფერი მიეცა. ამინდის შემყურე მხვნელ-მთესველებმა სოფლიდან გუდანაბადი აიკრეს და მინდვრად გავიდნენ. ცდილობენ ჭირვეულ ამინდებს მზე გამოსტაცონ, მიწას თესლი თავის დროზე მიაბარონ. მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებზე წითელწყაროს რაიონიდან გავიდა 800 სხვადასხვა მარკის ტრაქტორი, — 95 სათესი, 203 კულტივატორი და სხვა მისაბმელი მანქანები. ტექნიკის მომზადების საქმეში პირველი სიტყვა ზემოქმედელებს ეკუთვნით. პირველი ადგილი და პირველი ფულადი პრემიაც სწორედ მათ დაიმსახურეს.

სამწუხაროდ, ყველა ასე როდი გაისარჯა. რეიდის დღისათვის სოფელ ქვემო ქედის კოლმეურნეობაში 5 ტრაქტორი, 4 გუთანი, 1 სიმინდის სათესელა იყო შეუკეთებელი, საბათლოს კოლმეურნეობაში — 3 ტრაქტორი, 2 კულტივატორი და 3 გუთანი, არბოშიკის კოლმეურნეობაში — 4 ტრაქტორი, გამარჯვების კოლმეურნეობაში — ერთი ტრაქტორი, ერთი გუთანი, ერთი სათესელა და ა. შ.

არადამაკმაყოფილებელია წითელწყაროს მანქანა-ტრაქტორთა პარკის სახელოსნოს მუშაობა, სადაც საგეგმო 15-ის ნაცვლად შესაკეთებლად დგას მხოლოდ ორი ტრაქტორი. ეს იმ დროს, როცა რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში 35 ტრაქტორია გასამართავი.

ნათქვამია, როგორ თესლსაც მიაბარებ მიწას, ისეთ მოსავალს მოიმკიო. როგორ გაისარჯნენ ამ მხრივ წითელწყაროელი მხვნელ-მთესველები? ძირითადად კარგად, მაგრამ ზოგან გაჭიანურდა საგაზაფხულო კულტურების თესლების წმენდა, დახარისხება, სათეს კონდიციამდე აყვანა. საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებში არსებული ხარვეზები, როგორც აღინიშნა, გამოწვეული იყო აგროსამრეწველო გაერთიანების შესაბამისი სამსახურების უპასუხისმგებლობით.

მიუხედავად ერთგვარი ხარვეზებისა, საგაზაფხულო თესვა რაიონში აგროვადებში მიმდინარეობს. შემოწმების დღისათვის დათესილი იყო 5.180 ჰექტარი, ანუ განსაზღვრული ფართობის 30 პროცენტი; კარგად მიმდინარეობს მზესუმზირას, სასილოსე სიმინდის, საკვები კულტურების თესვა.

მისასალმებელია სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის მემცენარეობის უგანრიგო ბრიგადის ბრიგადირის უ. ლეკაშვილის მაგალითი სადღეღამისო თესვის საქმეში. მექანიზატორები ი. გიგოლაშვილი, ნ. აქიაშვილი, ბ. ბერიძე ღამით ტრაქტორის გაძლიერებულ სინათლეზე თესავდნენ. დღიური ნორმით გათვალისწინებული 8-10-ის ნაცვლად, დღეღამეში თითოეული 20-25 ჰექტარზე თესავს მზესუმზირას.

ურიგო ამინდი არ იყო მაგრამ ზამთრობით, ტენდაგროვების სამუშაოები მაინც საჭიროა. მინდვრის ტენდაგროვებითი რწყვა არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს სოფელ გამარჯვების, ოზაანისა და საბათლოს კოლმეურნეობებში. გეგმა რაიონში მხოლოდ 26 პროცენტით არის შესრულებული.

რთულ პირობებში მუშაობენ საგარეჯოს რაიონის მხვნელ-მთესველები. ზოგან აუღებელი თოვლის ნამქერები ხელს უშლის მექანიზატორებს ნიადაგის დამუშავებასა და თესვაში. მაგრამ, ზოგიერთებს მაინც ვერ დავეთანხმებით იმაში, რომ ამის გამო თესვის აგროვადები დაარღვიონ. ასეთ ადგილებში თესვა სხვა დროსაც შეიძლებოდა.

საგაზაფხულო კულტურები რაიონში 12.120 ჰექტარზე უნდა დაითესოს; მათ შორის შვრია — 1.466 ჰექტარზე. 25 მარტამდე უნდა დამთავრებულიყო შვრიის თესვა, დათესილი კი, შემოწმების დღის, 26 მარტისათვის, მხოლოდ 1.134 ჰექტარი იყო. 15 მარტიდან მზესუმზირას თესვის ვადები დადგა, მაგრამ მისი თესვა მთელ რიგ მეურნეობებში დაწყებულიც არ იყო.

საერთოდ, საგაზაფხულო სამუშაოებისათვის რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობები ცუდად როდი მოემზადნენ. ამის უპირველესი საფუძველია 9.561 ჰექტარი მზრალად ხნული, 300-ზე მეტი ტრაქტორი, 208 სათესი, 225 კულტივატორი.

თუმცა, ამისათვის ყველამ ერთნაირად როდი იზრუნა. შემოწმების დღისათვის გარეჯის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაში შესაკეთებელი იყო 2 ტრაქტორი, 2 სათესელა, 2 კულტივატორი, მეტ-ნაკლებად ასევე იყო სხვა მეურნეობებშიც. მოუწესრიგებელია გარეჯელთა სატრაქტორო პარკის ეზო. უწესრიგოდ, ღია ცის ქვეშ ყრია მანქანები, კვანძები, დეტალები.

მთელ რიგ ძირითად სახეებში საგარეჯოელებმა იმაზე მეტი თესლი მოიმარაგეს, რაც სჭირდებათ, გეგმა 122 პროცენტით შეასრულეს; ზოგიერთ დეფიციტურ თესლზე კი, როგორიც არის სოია, ესპარცეტი, სუდანურა, დახმარების ხელი საწარმოო-სამეცნიერო გაერთიანება „თავთავს" უნდა გამოეწოდებინა, მაგრამ, რატომღაც, ეს ხელი მოკლე აღმოჩნდა, მეურნეობებს დღემდე არ მიუღიათ გამოყოფილი 10 ტონა სოიის, 50 ტონა — ესპარცეტის, 30 ტონა — სუდანურას და 2 ტონა — მზესუმზირას თესლი; ეს იმ დროს, როცა ზოგიერთის თესვის ვადები კარგა ხანია დამდგარია.

ტექნიკა, ისევე როგორც საზოგადოებრივ მეურნეობებში, რაიონის მანქანა-ტრაქტორთა პარკის სახელოსნოში ცუდად როდი რემონტდება; საამისოდ სათანადო კონტროლიც არის დაწესებული. ტექნიკის მოვლა-შენახვის და გამოყენების საქმეს განსაკუთრებული გულისყურით ეკიდებიან საგარეჯოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის უგანრიგო სატრაქტორო ბრიგადის მექანიზატორები, რომელთაც სოციალისტური შრომის გმირი ვ. ალექსაშვილი ხელმძღვანელობს. ისინი წელსაც თავიანთ სიტყვას იტყვიან სიმინდის, მზესუმზირას და სხვა კულტურების ინტენსიური ტექნოლოგიით მოყვანის საქმეში. ამ წესით რაიონში 300 ჰექტარზე მეტი სიმინდის ნათესი დამუშავდება.

ისე კი, როგორც საგარეჯოელები, სიღნაღლელები, წითელწყაროელები უკმაყოფილებას გამოთქვამენ აბაშის, დიღმის, ქარელის, გორის, გურჯაანის მანქანა-ტრაქტორებისა და კვანძების სარემონტო სახელოსნოების მექანიზატორთა მიმართ. ისინი მოგვიანებით, ზოგჯერ უხარისხოდ ასრულებენ დაკვეთებს. საგარეჯოს რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების შეკვეთით გორის სარემონტო სახელოსნოში 1983 წლის აგვისტოში ჩაბარებულია „დტ-75" მარკის ორი ტრაქტორი. შეკვეთა კი მიიღეს, მაგრამ ტრაქტორები და დეტალები ჯერაც შეუკეთებელია.

წლეულს პატარძეულის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის „კ-701" მარკის ტრაქტორის ძრავი შეკეთდა ბოლნისის სარემონტო სახელოსნოში. უხარისხობის გამო, ძრავი სამჯერ დააბრუნეს.

დიდძალი მინერალური სასუქები აქვთ მომარაგებული საზოგადოებრივ მეურნეობებს როგორც საგარეჯოში, ისე სხვა რაიონებში, მაგრამ ამისათვის არ გააჩნიათ საჭირო საწყობები. მაგალითად, ღია ცის ქვეშ, გზისპირას ეყარა აზოტოვანი სასუქები საგარეჯოს მევენახეობისა და გარეჯის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებში.

◆

**თესვის** კამპანია სახალხო საქმედ არის გამოცხადებული სიღნაღის რაიონში. მასში ჩაბმული არიან პარტიული, საბჭოთა თუ სამეურნეო მუშაკები, შექმნილია ოპერატიული შტაბი. თესვა და მთლიანად საგაზაფხულო სამუშაოები წინასწარ შედგენილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით მიმდინარეობს.

შემოწმების დროს ამ რაიონის ხელმძღვანელებს მინდორში წნორის სახორცე მეძროხეობის კომპლექსის იმ ნაკვეთებში შევხვდით, სადაც ერთწლოვან და მრავალწლოვან ბალახებს ინტენსიური ტექნოლოგიით თესავდნენ. თესვა ნორმალურად მიმდინარეობს. რაიონის სხვა საზოგადოებრივმა მეურნეობებმაც კარგად გამოიყენეს ხელსაყრელი ამინდები. თესვის გეგმა თითქმის სანახევროდ არის შესრულებული.

რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობები საგაზაფხულო სამუშაოებს საკუთარი ტექნიკით ასრულებენ, მაგრამ როგორც აქ, ისე სხვა რაიონებში განიცდიან მექანიზატორთა ნაკლებობას. ამაში, აგროსამრეწველო გაერთიანებებთან ერთად, სცოდავენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, პროფტექნიკური სასწავლებლები, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები.

ლაგოდეხის რაიონში არა აქვთ არც შვრიის, არც მზესუმზირას თესვის გეგმები: მათი თავიდათავი საქმე ამჟამად ჩითილების სასათბურო მეურნეობაა, ძალზე სათუთი, ჩვილი ბავშვივით მოსავლელი.

7.800 ჰექტარზე მეტი დაეთმობა საგაზაფხულო კულტურებს — ერთწლოვან და მრავალწლოვან ბალახებს, სიმინდს, ბოსტნეულ-ბალჩეულს. 3.616 ჰექტარზე დაირგვება თამბაქო, 140 ჰექტარზე — რეჰანი, 472 ჰექტარზე — ბოსტნეული და ა. შ. დაგეგმილი 326 ათასის ნაცვლად თამბაქოს ჩითილი გამოყვანილია 371.000 კვადრატულ მეტრ სათბურში. ჩითილი ჯანსაღი და ხარისხიანია. ასევე გამოყვანილია და სათბურებში გადააქვთ საადრეო კიტრის ჩითილი, საიდანაც 2.000 ტონაზე მეტი პროდუქცია დამზადდება.

ერთი რამ, რაც ხელს უშლის ლაგოდეხელებს საჩითილე მეურნეობაში, ეს არის პოლიეთილენის აფსკის ნაკლებობა. გამოყოფილი ფონდი სანახევროდაც ვერ აკმაყოფილებს მათ მოთხოვნას.

რაიონების პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა, სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტებმა დროულად დაიჭირეს თადარიგი საზოგადოებრივ მეურნეობებში საგაზაფხულო ხვნა-თესვის სამუშაოთა მაღალ ორგანიზებულ დონეზე წარმართვისათვის.

თესვის კამპანიის დაწყებამდე თელავის რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობების 661 ყველა სახის ტრაქტორიდან მზად იყო 622, რაც საგეგმოს 94 პროცენტია. 375 გუთნიდან სამუშაო მდგომარეობაში იყო 358, 97 სატრაქტორო სათესელადან—90, 73 სატრაქტორო კულტივატორიდან — 71, მინერალური სასუქების შემტანი 74 აგრეგატიდან — 61. ყვარლის რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში 665 ყველა სახის ტრაქტორიდან მზად იყო — 632, ანუ საერთო რაოდენობის 95 პროცენტი, სახნავი და სათესი აგრეგატების — 96 პროცენტი, კულტივატორების — 99, შესაწამლი აპარატების 91 და სასუქების შემტანი აგრეგატების 92 პროცენტი. გურჯაანის რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში ყველა სახის 997 ტრაქტორიდან მზად იყო 921, ე. ი. მთელი რაოდენობის 92,4 პროცენტი. მზად არის სხვა მანქანებიც.

რაიონის სოფლის მეურნეობის საინჟინრო სამსახურის გაუმჯობესების საქმეზე დადებითად იმოქმედა აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის ახალმა ფორმამ. მოწესრიგდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების სფეროში მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საკითხი, დაინერგა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, საწვავისა და შხამ-ქიმიკატების ცენტრალიზებული წესით შეზიდვა, რამაც ერთგვარად შეუწყო ხელი საინჟინრო სამსახურებს მუშაობაში.

საზოგადოებრივ მეურნეობებსა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებში ტრაქტორების მომზადების ტემპი არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს, სპეციალიზებული სარემონტო საწარმოები აჭიანურებენ სრულკომპლექტოვანი ტრაქტორებისა და კვანძების რემონტს. მაგალითად, ახმეტის საზოგადოებრივი მეურნეობებიდან გურჯაანის მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტისა და ექსპლოატაციის სარემონტო სახელოსნოში (მმართველი — დ. როსტოშვილი) ჩაბარებულია 12 „ტ-54" მარკის ტრაქტორი, საგარეჯოს და ულიანოვკის სარემონტო სახელოსნოებში — 8 სხვადასხვა მარკის ტრაქტორი, რომელთა უმეტესობა წლობით დგას იქ. სათადარიგო ნაწილების უქონლობის გამო უქმად დგას უამრავი შესაკეთებელი მანქანა.

ჯერ კიდევ ჭირს მექანიზატორთა კადრებით უზრუნველყოფის საქმე. ახმეტის ყოფილი „საქსასოფლტექნიკის" რაისაწარმოო გაერთიანებამ (ამჟამად ახმეტის მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტისა და ექსპლოატაციის საწარმო) 1976 წლიდან მოამზადა 900-ზე მეტი მექანიზატორი; ახმეტის პროფტექნიკურმა სასწავლებელმა 400-ზე მეტი კვალიფიციური მექანიზატორი გამოუშვა. საზოგადოებრივ მეურნეობებს კი მექანიზატორები მაინც აკლიათ. მარტო ამ მიზეზით რაიონში 100 ტრაქტორიდან 6-7 და ზოგჯერ მეტიც გაჩერებულია. ამ მხრივ ანალოგიური მდგომარეობაა თელავის, ყვარლის და გურჯაანის რაიონებშიც. საზოგადოებრივი მეურნეობების უმეტეს ნაწილში დარღვეულია ტექნიკის შენახვისა და დაცვის წესები. სადგომი მოედნები მოუწესრიგებელია, ხშირად ირღვევა ტექმოვლის გეგმა-გრაფიკით დადგენილი ვადები, სამუშაოდან გამოთავისუფლებული ტექნიკა უყურადღებოდ არის მიტოვებული, საბურავებში არ არის წნევა შემცირებული და არ დგას საყრდენებზე. ძრავებს არ ფუთავენ. მექანიზმების გადაცემა-შენახვაზე არ ფორმდება აქტები, ტექნიკის სადგომები არ არის უზრუნველყოფილი ხანძართსაწინააღმდეგო საშუალებებით.

ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი — ა. ყიზილაშვილი) სატრაქტორო პარკის დათვალიერების დროს აღმოჩნდა, რომ საკმაო ფართობზე მანქანების სადგომი მოუწყობელია, მოუხრეშავია და მოსაპირკეთებელია, ფარდულები აქვთ, ტექნიკა კი შენახვის წესის დარღვევით ღია ცის ქვეშ უყენიათ (სატრაქტორო პარკის მექანიკოსი — ი. ბაიხოიძე), აქ ტექნიკის მიღება-ჩაბარების აქტები არ ფორმდება, რის გამოც ხშირად მანქანებს ძარცვავენ. შარშან პარკის ტერიტორიაზე ღია ცის ქვეშ უხეში დარღვევით, მიღება-ჩაბარების აქტის გაუფორმებლად გააჩერეს „დტ-75" მარკის ტრაქტორი, რომელიც გაძარცვეს. პარკში მოუგვარებელია ტექნიკის საპასპორტო მეურნეობა; 1983 წლის შემდეგ არ არის ჩატარებული ტექნიკური შემოწმება, არა აქვთ აღრიცხული ტექნიკური მოვლა, პასპორტები მექანიკოსთან ინახება და არა ბუღალტერიაში.

ანალოგიური მდგომარეობაა ახმეტის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი — გ. ირემაძე). მეურნეობას აქვს ტექნიკისათვის ტიპობრივი ფარდულები, მაგრამ მას დანიშნულებით არ იყენებენ, შხამ-ქიმიკატებს, მინერალურ სასუქებს ინახავენ, ტექნიკა კი ღია ცის ქვეშაა.

მეურნეობამ წელს, მარტში ახმეტის მანქანა-ტრაქტორთა პარკის შეკეთებისა და ექსპლოატაციის საწარმოში (დირექტორი — ა. მარგოშვილი) შესაკეთებლად მიიტანა „დტ-75" მარკის ტრაქტორის ძრავა, რის სანაცვლოდაც მათგანვე მიიღო დიღმის ქარხნის მიერ შეკეთებული ძრავა, რომელსაც დაზიანებული აქვს ბლოკი და გაფუჭებულია. სიღნაღის რაიონის ულიანოვკის სპეციალიზებულ სარემონტო საწარმოში ახმეტის მეურნეობამ სარემონტოდ გაგზავნა „მტზ-80" მარკის ტრაქტორი, რისთვისაც 999 მანეთი გადაიხადა, ტრაქტორი, ვითომ შეაკეთეს, ფაქტობრივად კი ისეთივე მიიღეს, როგორიც გაგზავნეს. დიდი თანხა დაიხარჯა, ტრაქტორი კი დგას და ვერ მუშაობს.

ანალოგიური პრეტენზიები აქვთ თელავის, ყვარლის, გურჯაანის რაიონების საზოგადოებრივ მეურნეობებსაც, რომლებიც იძულებული არიან სათადარიგო ნაწილების უქონლობის გამო ტექნიკა გასარემონტებლად მოიტანონ ამ სახელოსნოებში, რაც მძიმე ტვირთად აწვება მეურნეობების ეკონომიკას.

28 მარტისათვის საგაზაფხულო საადრეო კულტურების დასათესად ახმეტის რაიონს მომზადებული ჰქონდა 2.234 ჰექტარი (გეგმა 2454 ჰექტარს ითვალისწინებს). 79 ჰექტარზე (საგეგმოზე 5 ჰექტარით მეტი) ხახვია დათესილი. ხოლო 1.359 ჰექტარზე — ნარევი ერთწლოვანი კულტურები. საკვები ჭარხალი 280 ჰექტარი ფართობის ნაცვლად დათესილი იყო 93 ჰექტარი, ამ დღისათვის თესვა არ ჰქონდა დაწყებული კასრის წყლის საკვებწარმოების გაერთიანებას, რომელსაც ეს კულტურა 70 ჰექტარზე უნდა დაეთესა. ზემო ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობაში 30 ჰექტრის ნაცვლად დათესილი იყო 10 ჰექტარი საკვები ჭარხალი; მიუხედავად იმისა, რომ აგროვადები იწურებოდა, ამ დღეს თესვა არ მიმდინარეობდა, მთელი დღე სათესის გაწყობას მოანდომეს. აქ თესლი ჰყოფნით, მაგრამ ხელმძღვანელებს უნდა ვუსაყვედუროთ, რომ ხარისხიან თესლთან ახლოს ინახებოდა 640 კილოგრამი (20 ტომარა) თესვისათვის გამოუსადეგარი, დაავადებული საკვები ჭარხლის თესლი, რაც სხვა თესლის დაავადების საშიშროებას ქმნის.

თელავის რაიონში შემოწმების დღისათვის საგეგმო 125 ჰექტარი ფართობის მაგივრად საკვები ჭარხალი დათესილი იყო 96 ჰექტარზე; თესვა არ ჰქონდათ დაწყებული კურდღელაურისა და ბუშეტის კოლმეურნეობებს (თავმჯდომარეები — გ. მახათელაშვილი და გ. ზაალიშვილი). ჩამორჩენაა ერთწლოვანი და მრავალწლოვანი ბალახების თესვაშიც: ერთწლოვანი ბალახები 313 ჰექტარის ნაცვლად დათესილი იყო 150 ჰექტარზე, მრავალწლოვანი — 174 ჰექტარის ნაცვლად 111 ჰექტარზე.

საგაზაფხულო კულტურების თესვის საქმეში ტემპის დაჩქარება მართებთ გურჯაანის რაიონის მთელ რიგ საზოგადოებრივ მეურნეობებს. 30 მარტისათვის ეს სამუშაოები რაიონში შესრულებული იყო 1.094 ჰექტარზე, ნაცვლად 6.215 ჰექტარისა, საკვები ჭარხალი საგეგმო 125 ჰექტარის ნაცვლად დათესილი ჰქონდათ 82 ჰექტარზე. ეს მაშინ, როცა ჭარხლის თესვის აგროვადები ამოიწურა. იმის გამო, რომ ალაზნის მარჯვენა მხარეს 600 ჰექტარი ფართობი დატბორილია და ტექნიკა ვერ შედის, საგაზაფხულო კულტურების თესვა ფერხდება. მიწები ჭარბტენიანობის, სარწყავი თუ სადრენაჟო არხების გაუწმენდაობის და უწესრიგობის, სპეციალისტთა უყურადღებობის გამო დაიტბორა.

◆

**გარდაბნელებმა** შარშან საზოგადოებრივ სექტორში 105 ათასი ტონა ბოსტნეული მოიწიეს, წლეულს კიდევ უფრო მაღალი მიჯნაა დასაძლევი — 110 ათასი ტონა! იმასაც თუ დავუმატებთ, რომ აქ 30-ზე მეტი დასახელების ბოსტნეულს აწარმოებენ და წლეულს პროდუქციის ხარისხსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ, გასაგები გახდება ის შრომითი ენთუზიაზმი, რომელიც ამ დღეებში გარდაბნის რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში სუფევს.

საგაზაფხულო სამუშაოების დროულად და მოფიქრებულად დაწყებისათვის აქ იმთავითვე უზრუნიათ. ტექნიკის რემონტი თუ თესლის მომარაგება, არხების გაწმენდა თუ სასუქების შეტანა მთელ რიგ საზოგადოებრივ მეურნეობებში აგროვადებში და ხარისხიანად განხორციელდა. მაგრამ ყველგან არა. გულსატკენ ფაქტებს წავაწყდით ზოგიერთ საზოგადოებრივ მეურნეობაში. ავიღოთ, თუნდაც, კაპანახჩის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი — ვ. კამბაროვი, მთავარი ინჟინერი — ტ. ორუჯევი).

„დტ-75"-ის მარკის ტრაქტორი უპატრონოდ მიეტოვებინათ ეზოში. მექანიზატორები გვაკლიაო, თავს იმართლებდა დირექტორი. მუხლუხიანი ტრაქტორი კი გაუძარცვავთ, დაუხსნიათ ნაწილები და კვანძები, სათესელაში კი, თესვა რომ დაუმთავრებიათ, ხორბალი ჩარჩენილა და ახლა იქ თაგვებია გაჩენილი.

კაპანახჩელები ვერც თავიანთ კვალსათბურებს დაიკვეხნიან, პამიდორის ნათესი მეჩხერია, ჩითილი კი სუსტი. იმის საილუსტრაციოდ, თუ რას ნიშნავს ხახვის ნათესების აგროწესების დაცვით მოვლა, გამოდგებოდა მეურნეობის № 2 ბრიგადის (ბრიგადირი — მ. მამედოვი) ხახვის ნათესები. ჩინებული აღმონაცენი, თამამად ამოზრდილი მცენარე, მოვლილი, გამარგლული 9 ჰექტარი ფართობი ამთავითვე უხვი მოსავლის გარანტიაა. ამ ბრიგადის მეზობლად კი სარეველებით დაფინებული № 1 ბრიგადის (ბრიგადირი ს. გასანოვი) ხახვის ნათესია, თუ ამ დღეებში არ გამარგლა, ხახვის მოსავლის მიღება საეჭვო გახდება.

ასევე მოუვლელია ხახვის ნათესები გორის რაიონის ძევერის საბჭოთა მეურნეობაში, კასპის რაიონის კავთისხევისა და ქვათახევის საბჭოთა მეურნეობებში, ხაშურის რაიონის ოსიაურის კოლმეურნეობაში.

საადრეო კარტოფილის მწარმოებელ მეურნეობებში ახალი კარტოფილის რგვა მიმდინარეობს. ბოლნისელებს ეს კულტურა 26 მარტისათვის საგეგმო 3360 ჰექტარიდან დათესილი ჰქონდათ 1600 ჰექტარზე.

ამჟამად რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში ყოველდღიურად კარტოფილი საშუალოდ 280 ჰექტარ ფართობზე ითესება. მინდვრად გასულია 70 კარტოფილსათესი აგრეგატი.

მაგრამ მარტოოდენ საადრეო კარტოფილი როდია ბოლნისელთა საზრუნავი. წლეულს მათ 5800 ტონა ბოსტნეულიც უნდა დაამზადონ, შარშანდელზე 1600 ტონით მეტი.

წლეულს პირველად რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობები მოიყვანენ ბადრიჯანს, კიტრს, სტაფილოსა და მწვანილს.

ჯერ კიდევ თებერვალში, პარტიის მარნეულის რაიკომის ბიურო მინდვრად საგაზაფხულო სამუშაოების ორგანიზებულად ჩატარების საკითხებს რომ განიხილავდა, საზოგადოებრივი მეურნეობების ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ ყველგან ჯეროვნად როდი ემზადებიან ამ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის კამპანიისათვის. იმ პერიოდისათვის სათესელებისა და მოსავლის ასაღები ტექნიკის რემონტი ხეირიანად არც კი იყო დაწყებული აგმამედლის, ხოჯორნის და კულარის საბჭოთა მეურნეობებში, თესლის საჭირო რაოდენობის 54,6 პროცენტი ჰქონდათ მომარაგებული. ლომთაგორის საბჭოთა მეურნეობაში არ ჰქონდათ შემოტანილი არც ერთი კილოგრამი შვრიის თესლი, თუმცა გამოყოფილი იყო 350 ცენტნერი.

ახლა, როცა ფართო ფრონტით გაიშალა საგაზაფხულო სამუშაოები, ბევრი საზოგადოებრივი მეურნეობის მუშაობაში სწორედ იმ ნაკლოვანებებმა იჩინა თავი.

შარშანდელი მწარე გაკვეთილი, როცა რაიონმა ვერ შეასრულა საადრეო კარტოფილის წარმოების დავალებები, გაფრთხილება უნდა გახდეს საზოგადოებრივი მეურნეობებისათვის.

საადრეო კარტოფილის თესვა უკვე დაიწყო და მხოლოდ ახლა დაიწყეს სირბილი „გამარჯვების" საბჭოთა მეურნეობაში კარტოფილის ნათესებში შესატანი პრომეთრინის შესაძენად. არა აქვთ მომარაგებული სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილები, მანქანა-ტრაქტორების პარკი კი ძველია და საქმეს ვერ აუდის.

როგორ უვლიან ტექნიკას? როცა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის აღრიცხვისა და მოვლა-შენახვის მდგომარეობა შეისწავლა, სახალხო კონტროლის გარდაბნის რაიონულმა კომიტეტმა მთელი რიგი ნაკლოვანებები გამოავლინა: რუისბოლოს მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში (მთავარი ინჟინერი — მ. ბაგიროვი) მოუწყობელია ტექნიკის შესანახი ფარდული, კრწანისის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობამ (მთავარი ინჟინერი — ვ. ახვლედიანი) რაიონის სტატისტიკურ სამმართველოს ტექნიკის მზადყოფნის შესახებ ფიქციური ცნობა გადასცა — სრულ მზადყოფნაში აჩვენა ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო მანქანა, სინამდვილეში კი ასაწყობი და დასაკომპლექტებელი იყო.

ხუთი წლის წინ რაიონში შემოიტანეს პამიდვრის ასაღები ორი ახალი კომბაინი, რომელთა ღირებულება 33,9 ათასი მანეთია, სამწუხაროდ, მათ ჯერ ერთი დღეც არ უმუშავიათ.

ტექნიკის შესანახი ფარდული არა აქვთ გორის რაიონის კარალეთის საბჭოთა მეურნეობას, ქარელისა და ხაშურის ზოგ საბჭოთა მეურნეობებში.

კასპის რაიონის ქვათახევის საბჭოთა მეურნეობის მანქანა-ტრაქტორების პარკში უქმად იდგა გაუმართავი სათესელები და ორი წლის წინ ჩამოწერილი ტრაქტორი.

იმის დასადგენად, რომ საზოგადოებრივი მეურნეობები ძირითადად სათადარიგო ნაწილებითა და აგრეგატებით ნაკლებად მარაგდებიან, გარდაბნის მაგალითიც გამოდგებოდა. ყოფილი ხილბოსტნეულის სამინისტროს ხაზით წლეულს პირველ კვარტალში რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობების მანქანა-ტრაქტორების პარკს არც ერთი ცალი ავტომანქანის საბურავი, აკუმულატორი თუ სხვა სათადარიგო ნაწილი არ მიუღია.

◆

**ახლა** საგაზაფხულო თესვის სამუშაოები უკვე იმ ფაზაში შევიდა, როცა უხერხულიც კია ილაპარაკო თესლით მეურნეობების უზრუნველყოფაზე, კონდიციაზე, ხარისხზე და სხვა. სამწუხაროდ, მთელ რიგ საზოგადოებრივ მეურნეობებში შექმნილი მდგომარეობა დამშვიდების უფლებას არ გვაძლევს.

დავიწყოთ იმით, რომ მარნეულის რაიონში დღემდე არ გაუნაწილებიათ საბჭოთა მეურნეობებისათვის კარტოფილის თესლი.

რესპუბლიკურმა სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „თავთავმა" და რაიონების აგროსამრეწველო გაერთიანებებმა ყველაფერი უნდა იღონონ იმისათვის, რომ ერთხელ და სამუდამოდ გადაწყდეს საზოგადოებრივი მეურნეობების შვრიისა თუ სხვა კულტურების საკუთარი წარმოების თესლით უზრუნველყოფის საკითხი, რათა კვლავაც იძულებული არ გავხდეთ რესპუბლიკის ფარგლებს გარედან შემოტანილი უკონდიციო თესლით დავასარეველიანოთ სასოფლო-სამეურნეო სავარგულები.

შვრიის თესლი, რომელიც მცხეთის რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებსაც მოუმარაგებიათ, ცუდი ხარისხისაა. 2168 ცენტნერიდან მეორე კლასისაა 1574, მესამე კლასისა — 594 ცენტნერი. ისიც უნდა ითქვას, რომ სიმინდის თესლის ჭარბად გამოყოფის მიუხედავად, მცხეთის რაიონის 6 საბჭოთა მეურნეობას ამ კულტურის თესლი არ გააჩნია.

აქვე უნდა ითქვას, რომ მცხეთის რაიონი ამ მხრივ გამონაკლისი როდია. ანალოგიური მდგომარეობაა მარნეულის რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობების შვრიისა და სიმინდის თესლით მომარაგებაში. სახელმწიფო რესურსებიდან შეძენილი 835 ცენტნერი შვრიის თესლი უკონდიციოა.

513 ცენტნერის ნაცვლად 460 ცენტნერი სიმინდის თესლი აქვთ კასპელებს. საჭიროა ყოველმხრივ დაჩქარდეს დანაკლისის შევსებად სახელმწიფო რესურსებიდან გამოყოფილი თესლის შემოტანა.

ბევრ რაიონში კვლავაც პრობლემატურ საკითხად რჩება სარწყავი არხების მშენებლობის საკითხი.

კასპის რაიონში კი საჭიროა დაჩქარდეს მდინარე თეძმის სარწყავი სისტემის მეორე რიგის მშენებლობა, ის, რომ მშენებლობის დაწყება 1989-90 წლებშია განზრახული, წყლის დეფიციტის საშიშროებას უქმნის ხოვლეს, ზემო ხანდაკისა და ყარაღაჯის მეხილეობის კომპლექსს. არ არის გამორიცხული, რომ მეორე რიგის ამოქმედებამდე ხილის ბაღები დაკნინდეს და გავერანდეს.

ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თუ რა გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს წყალს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის საქმეში. წყლის პრობლემა უცხო არ არის გარდაბნის რაიონისთვისაც. და თუმცა ჯერ გვალვები არ დამდგარა, სიძნელეები [illegible] ფართობის 46-ათასი ჰექტარიდან [illegible] ჰექტარი [illegible]. სარწყავი ქსელის დაზიანებისა თუ სხვა უწესრიგობათა გამო ყოველწლიურად მოურწყავი რჩება 5-6 ათასი ჰექტარი. ადვილი წარმოსადგენია, რამდენ ბოსტნეულის, მარცვლეულის, საკვები კულტურების დამატებით მოსავალს მოგვცემდა, ეს ფართობებიც რომ ირწყვებოდეს. სწორედ ამ რეზერვების ამოქმედებას ითვალისწინებს პარტიის რაიკომის ბიუროსა და „მთავარწყალმშენის" კოლეგიის ამ დღეებში მიღებული ერთობლივი დადგენილება.

ახალი ხუთწლედი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში მთელი რიგი კულტურების ინტენსიური ტექნოლოგიის მოყვანის ხუთწლედი გახდება.

მარნეულის რაიონში, მაგალითად, ინტენსიური ტექნოლოგიით სიმინდი 500 ჰექტარზე უნდა მოიყვანონ, ბოლნისში — 150 ჰექტარზე, გარდაბანში — 500 ჰექტარზე, მცხეთაში — 250 ჰექტარზე.

უნდა ითქვას, რომ მცხეთელებმა ეს ციფრი 170 ჰექტარამდე შეამცირეს (ეტყობა აქ დიდ ფართობზე სიახლის დანერგვისათვის ჯერ სრულყოფილად არ არიან მზად).

წელსვე რესპუბლიკის ზოგ რაიონში დაიწყება ინტენსიური ტექნოლოგიით პამიდვრის მოყვანა.

უადგილო არ იქნება, შევახსენოთ ბოლნისელებს, რომ მათ შარშან ჩაშალეს ინტენსიური ტექნოლოგიით სიმინდის მოყვანის დავალება, წლეულს კი ახალი მეთოდით სიმინდის წარმოება 170 ჰექტარამდე შეუმცირეს, გამოუყვეს საკმაო რაოდენობის თესლიც.

რეიდის მონაწილეთა სურვილი იყო, სადმე გვენახა იმის ნიმუში, თუ როგორ უნდა ვემსახურებოდეთ მექანიზატორებს, მძიმე შრომის ადამიანებს, სოფლის მარჩენალთ, მაგრამ ამას ვერ მივაღწიეთ. არც დატარებითი ვაჭრობის, არც საზოგადოებრივი კვების მუშაკს არსად გადავყრივართ, ცივი ლიმონათი, ცხელი კერძი და თბილი გული რომ მიეტანა მინდვრის მშრომელებთან. მათთან საყოფაცხოვრებო მომსახურების, კინოფიკაციის თუ მედიცინის მუშაკებიც ტყუიან. მათი გვერდში დგომა აკლიათ მხვნელ-მთესველებს. ვერც ერთმა მექანიზატორმა ვერ გვითხრა, თუ რა ეძლევათ შრომის ძირითად საზღაურად და დამატებით, როცა ისინი ასრულებენ დღიურ სამუშაო ნორმებს ერთიორად, ერთისამად... ამის შესახებ არ მოვიყვანთ კონკრეტულ მაგალითებს, ვინაიდან ეს ეხება ყველა რაიონს, მეურნეობას, პარტიულ თუ სამეურნეო მუშაკს.

როგორც ვხედავთ, საგაზაფხულო სამუშაოების ტემპი ბევრ მეურნეობაში არ შეესაბამება აგროსამრეწველო კომპლექსის სადღეისო პასუხსაგებ ამოცანებს. უფრო მეტიც, ზოგან გულარხეინად ეკიდებიან წლის მოსავლისათვის საფუძვლის შექმნას. დრო კი არ ითმენს, დღეის საქმის ხვალ-ზეგისათვის გადადებას ჭირნახულის დიდი დანაკარგები მოჰყვება.

ამ საქმეში ბრალეულებს ახლავე მკაცრად უნდა მოეკითხოთ, რათა საქმის მდგომარეობა ოპერატიულად გამოსწორდეს.

**ლ. ნაკაიძე, გ. წერეთელი — საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის ინსპექტორები, ვლ. მჭედლიშვილი, დ. გერგიშვილი, გ. ვაშაკიძე — „კომუნისტის" საკ. კორესპონდენტები.**

**გორის რაიონის მეურნეობებში ხახვის ნათესებს 589 ჰექტარი უკავია, შარშან ამ დროისათვის ხახვის ნათესების ფართობი თითქმის ორჯერ ნაკლები იყო.**

**გრაფიკის გასწრებით აწარმოებენ საგაზაფხულო თესვას სოფელ ხელთუბნის კოლმეურნეობის მექანიზატორები, რომლებიც სამუშაოთა კომპლექსურ მეთოდს იყენებენ.**

**ბეჯითად შრომობენ ტირძნისის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორები სოლომონ სურამელი, სიმონ პურიჭამიაშვილი, გურამ ლაფაჩი, ვარლამ და ნუგზარ ბუჩუკურები. ვაჟა დემუროვი და შოთა ხმიადაშვილი ყოველდღიურად საგეგმო 5 ჰექტარის ნაცვლად 6-7 ჰექტარ ხეხილის ბაღს ასხურებენ მინერალურ ზეთს.**

• • •

**სურათებზე: ზემოთ, მარცხნივ — მეოთხე ბრიგადის ხელმძღვანელი ნოდარ მერაბიშვილი და მერგოლური გურგენ შავლოხაშვილი ამოწმებენ ხახვის თესლის ხარისხს; ქვემოთ — მეურნეობის დირექტორი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი ნოდარ ჯობინაშვილი და მოწინავე მექანიზატორი დავით ხმიადაშვილი ხეხილის ბაღის შეწამვლის დროს; მიმდინარეობს შეწამვლა.**

**ვ. გენგიურისა და თ. ნაფიშვილის ფოტოები.**





## მეცხოველეობა დამკვრელური ფრონტია

# ჩაი ფრინველებისათვის

**ჩაის** ნაყენის ნარჩენი ჩინებული პროდუქტი აღმოჩნდა საკვები ცილის გამომუშავებისათვის. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიმუშავეს ჩაის მრეწველობის ნარჩენებისაგან მეცხოველეობის საჭიროებისათვის მისი მიღების ტექნოლოგია.

— ცილის გამოსამუშავებლად ძვირფასი პროდუქტია ჩვენთვის ნალექი, რომელიც, მაგალითად, რჩება ჩაის კონცენტრატების, ჩაის ნაყენიდან გამამხნევებელი, გამაგრილებელი სასმელების მიღების შემდეგ, — თქვა ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატმა რ. ხოჭოლავამ. — წლის განმავლობაში მახარაძის, სამტრედიის, ზუგდიდის რაიონების ჩაის ნედლეულის გადამამუშავებელ საწარმოებში მრავალი ათეული ათასი ტონა ასეთი ნარჩენი რჩება. მას ცილად აქცევენ უვნებელი მიკროორგანიზმები, რომელთათვის უგემური ნალექი ზრდის საუცხოო სუბსტრატი გახდა.

გამოირკვა: ფრინველის საკვებში ბიომასის დამატება, რომელიც დაახლოებით ორმოც პროცენტ ცილას შეიცავს, ხელს უწყობს წონის სწრაფ მატებას და ხორცის ხარისხის გაუმჯობესებას, ბროილერები დაავადების წინააღმდეგ უფრო მედეგი ხდებიან.

თბილისის მიდამოებში დაიწყო ჩაისაგან ცილის მიღების საექსპერიმენტო ბაზის მშენებლობა.

(საქინფორმი).

# უცხოეთში

ფაქტები • მოვლენები

## შევაჩეროთ გამალებული ბირთვული შეიარაღება

**მშვიდობის პოლიტიკის ერთგული საბჭოთა კავშირი აქტიურად იღვწის იმისათვის, რომ სამუდამოდ იხსნას მსოფლიო ბირთვული საფრთხისაგან, წინადადებას აყენებს დაუყოვნებლივ დაიწყონ მოლაპარაკება ბირთვული იარაღის გამოცდის სრული აკრძალვის შესახებ, მათ შორის კონტროლის საკითხებზე. ამ მშვიდობისმოყვარულ, კონსტრუქციულ პოზიციას მტკიცედ უჭერს მხარს ყველა, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობის საქმე. საერთაშორისო საზოგადოებრიობა მკაცრად გმობს ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების ნეგატიურ ობსტრუქციულ პოზიციას, რომლებიც კვლავ ადგანან გამალებული შეიარაღების გაძლიერების გეზს და უარს ამბობენ შეწყვიტონ ბირთვული აფეთქებანი. ასეთი შინაარსისაა საზღვარგარეთის პრესის მრავალი ცნობა, რომელიც განმარტავს საბჭოთა ტელევიზიით სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლას. ხაზგასმულია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს დღეს აქვს რეალური შესაძლებლობა სიტყვით კი არა, საქმით ცხადყოს თავისი კეთილი ნება.**

**ჩეხოსლოვაკია.** საბჭოთა კავშირს, წერს „რუდე პრავო“, მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი კვლავაც მიზანმიმართულად განახორციელოს მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა, რომელსაც სულ უფრო მეტად უჭერს მხარს ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი. მიესალმა რა მოსკოვის კეთილ ნებას, ჩეხოსლოვაკიის საზოგადოებრიობა, ისევე როგორც სხვა ქვეყნების საზოგადოებრიობა, აღშფოთებას გამოთქვამს ამერიკის შეერთებული შტატების მილიტარისტული მოქმედების გამო, რომელიც სიტყვით მხარს უჭერს დიალოგს, შეიარაღებისადმი კონტროლს, საქმით კი აშკარად საწინააღმდეგო გეზს ადგას, განაგრძობს ბირთვულ აფეთქებებს და უარს ამბობს მათი შეწყვეტის შესახებ მოლაპარაკებაზე. ეტყობა, ვაშინგტონში დაავიწყდათ, რომ საბჭოთა კავშირთან ძალის პოზიციიდან ლაპარაკის ყაიდა განწირულია.

**პოლონეთი.** საბჭოთა ტელევიზიით მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლა გონებისა და რეალიზმისათვის მოწოდებაა, სსრ კავშირის მშვიდობისმოყვარეობის, სოციალისტური საგარეო პოლიტიკის თანამიმდევრულობის თვალსაჩინო და მკაფიო დადასტურებაა, წერს პოლონეთის „ტრიბუნა ლუდუ“. ის რეაქცია, რომლითაც საბჭოთა ინიციატივებს შეხვდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში, კიდევ ერთხელ ცხადყოფს, თუ ვინ არის მშვიდობის, ბირთვული საფრთხის თავიდან აცილების მომხრე, და ვინ, პირიქით, გვევ- [illegible]

[illegible] ციულ და თავხედურ გამოწვევას, წერს გაზეთი „ხუვენტუდ რებელდე“.

**აშშ.** ვაშინგტონის ნეგატიურ პასუხს წინადადებაზე, რომ ევროპაში მოეწყოს მოლაპარაკება ბირთვული იარაღის გამოცდების სრული შეწყვეტის შესახებ, სულ უფრო მეტად აკრიტიკებს ამერიკის საზოგადოებრიობა. „ფატალურ სტრატეგიას“ უწოდებს ამასთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკას ამერიკის თავდაცვითი ინფორმაციის ცენტრის დირექტორის მოადგილე კონტრ-ადმირალი ი. კეროლი. ჟურნალ „სენტისათვის“ მიცემულ ინტერვიუში იგი ხაზს უსვამს, რომ „ბირთვული აფეთქებების საყოველთაო აკრძალვის შემოღება პირველი და უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი იქნება გამალებული შეიარაღების შეწყვეტის გზაზე. „რეიგანის ადმინისტრაციამ, რომელსაც იმედი აქვს, რომ სსრ კავშირის წინადადებების გამუდმებული უარყოფით „ძლიერი პოზიციის“ რაღაც გა- [illegible]

[illegible] ვითი ინიციატივის“ ნაწილია. **ეი-ბი-სი ტელეკომპანია** აღნიშნავს, რომ ადმინისტრაცია მორატორიუმს უარყოფს იმ საბაბით, რომ „ძნელია მისი შემოწმება“. ტელეკომპანია ამასთან დაკავშირებით იმოწმებს ვ. ბლეჰმანის, ბრუკინგსის ინსტიტუტის სამხედრო კვლევის განყოფილების ხელმძღვანელის აზრს, რომელიც კარტერის მთავრობაში შეიარაღებისადმი კონტროლის საკითხებს განაგებდა, და აღნიშნავს, რომ ვაშინგტონს „უბრალოდ არ სურს გამოცდების აკრძალვა და ამიტომ ათასგვარ საბაბს იმიზეზებს და აზვიადებს შემოწმების ტექნიკურ სიძნელეებს“.

**ინგლისი.** ბირთვული იარაღის გამოცდების საყოველთაო და სრული აკრძალვის იდეას კარგა ხანია საპატიო ადგილი უკავია იმ ამოცანათა სიაში, რომელთა გადაწყვეტაზეც დამოკიდებულია გამალებული შეიარაღების ალაგმვა, წერს **„ფაინენშლ ტაიმსი“**. ვინაიდან საბჭოთა კავშირი გასული წლის აგვისტოდან (ცალმხრი- [illegible]

**ავსტრია.** საბჭოთა კავშირი შეერთებულ შტატებს აძლევს კიდევ ერთ შანსს მიიღოს პასუხისმგებლური გადაწყვეტილება ბირთვული გამოცდების აკრძალვის საკითხზე, იტყობინება **ავსტრიის პრესის სააგენტო**. პოლიტიკურ მიმომხილველთა აზრით, ამერიკის შეერთებული შტატების უარი შეუერთდეს საბჭოთა წინადადებას, უწინარეს ყოვლისა, „ვარსკვლავეთის ომებისათვის“ მზადების პროგრამასთან არის დაკავშირებული. ამ პროგრამის რეალიზაციაში დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებენ რენტგენული ლაზერები, რომლებმაც საჭირო ენერგია უნდა მიიღონ ბირთვული აფეთქებების შედეგად.

**კვიპროსი.** მაშინ, როცა მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხები მიესალმებიან ბირთვული გამოცდების სრული აკრძალვისათვის გამიზნულ სსრ კავშირის წინადადებებს, ამერიკის შეერთებული შტატები ისევ უარს ამბობს საბჭოთა წინადადებებზე, წერს [illegible]

[illegible] ული მიდგომაც და ხაზი გაუსვა, რომ „გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა თავს იკავებს მოსთხოვოს ამერიკელებს ბირთვული იარაღის გამოცდების საყოველთაო აკრძალვის შესახებ შეთანხმების დადება“.

[illegible] ადმინისტრაციამ უნდა გამოიჩინოს საჭირო პოლიტიკური ნება და მიბაძოს საბჭოთა სამშვიდობო ინიციატივას. ამას ელის, ამას მოითხოვს ვაშინგტონისაგან მილიონობით კეთილი ნების ადამიანი, რომლებიც მხარს უჭერენ პლანეტის მშვიდობასა და უშიშროებას.

● ბულგარეთი

## ს. ანტონოვი სამშობლოში დაბრუნდა

[illegible] ტრაპთან.

აეროპორტში ს. ანტონოვს მხურვალე შეხვედრა მოუწყვეს.

● სუდანი

## პარლამენტის არჩევნები

**ხართუმი. სუდანში დაიწყო ქვეყნის დამფუძნებელი კრების (პარლამენტი) არჩევნები.** თავიანთი კანდიდატურები 264 დეპუტატის ადგილზე დაასახელა ათასზე მეტმა კაცმა, რომლებიც 22 პოლიტიკური პარტიისა და დაჯგუფების წარმომადგენლები არიან.

არჩევნების მოწყობის გადაწყვეტილება მიიღო სუდანის გარდამავალმა სამხედრო საბჭომ, რომელიც ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა შარშან აპრილში ნიმეირის ანტიხალხური დიქტატურის დამხობის შემდეგ. არჩევნები 12 აპრილამდე გასტანს. დამფუძნებელმა კრებამ უნდა ჩამოაყალიბოს მთავრობა, აგრეთვე შეიმუშაოს სუდანის ახალი კონსტიტუცია.

● ლიბანი

## მიაღწიეს შეთანხმებას

**ბეირუთი. მიღწეულია შეთანხმება იმის შესახებ, რომ შეწყდეს ცეცხლი პალესტინელ ლტოლვილთა საბრის, შათილისა და ბურჯ-ალ-ბარაჟნის ბანაკებში, რომლებიც დასავლეთ ბეირუთის სამხრეთ მიდამოებშია განლაგებული.** მოწინააღმდეგე დაჯგუფებათა შეიარაღებული შეტაკება ამ რაიონებში რამდენიმე დღეს გრძელდებოდა. ინფორმაციის ადგილობრივი ორგანოების მონაცემების თანახმად, მოკლეს და დაჭრეს ორმოცამდე კაცი.

## საგასტროლოდ ემზადებიან... დელფინები

**აპრილის** დამდეგიდან ბათუმის დელფინარიუმმა წელს პირველი სტუმრები მიიღო. ახალ სეზონში მისი გაწვრთნილი ბინადრები მაყურებელს გაახარებენ თავიანთი „პროგრამის“ „პრემიერებით“.

...აუზის ტრიბუნებზე, რომლებიც დაახლოებით ათას კაცს იტევს, მარტო ჩვენ ვართ. მიმდინარეობს გენერალური რეპეტიცია. ნაცრისფერი აფალინები ხალისით გვიჩვენებენ სხვადასხვა ტრიუკს. ისინი ემორჩილებიან მომთვინიერებელს, ბუქსირით დაატარებენ ნავს, რომელშიც ადამიანი ზის, ასრულებენ სხვადასხვაგვარ ნახტომებს, ანძაზე აღმართავენ დროშას...

— ახლა ჩვენ შვიდი ათა- [illegible]

[illegible] ვამ. — ოთხი მათგანი მონაწილეობს ტრადიციულ წარმოდგენაში, რომლის ელემენტებიც თქვენ ნახეთ. ამ ოთხეულის უდავო ლიდერია ლადა, მონდომებით მას არ ჩამოუვარდებიან არც მისი პირმშო მალიშკა, რომელიც ჩვენს დელფინარიუმში დაიბადა ორი წლის წინათ, და არც კრასავიცა... მეზობელ პატარა აუზში კიდევ ორი ჩვენი „აღზრდილი“ ემზადება „გასტროლებისათვის“.

ჩვენ სრულიად ახალი ატრაქციონის მოწმენი ვხდებით. წყლიდან მაღლა ამომხტარი დელფინები დახელოვნებული კალათბურთელებივით აგდებენ ბურთს კალათში, რომელიც აუზის ნაპირზეა დამაგრებული.

დელფინარიუმში ახლა განზრახული აქვთ შექმნან შერეული ატრაქციონი, შეუერთონ ტრადიციულ „მსახიობებს“ ორი ჩრდილოეთის ზღვის კატა და კასპიის ზღვის სელაპი. ჯერჯერობით ისინი ცალკე აუზში ცხოვრობენ. „ცენტრალურ არენაზე“ კი უწყინარი აფალინები „ეგებებიან“ სტუმრებს, რომელთა რიცხვმა 1975 წლიდან — დელფინარიუმის დაარსების დღიდან — უკვე ხუთ მილიონს გადააჭარბა. საკურორტო სეზონის დროს წარმოდგენები დღეში სამჯერ გაიმართება.

**ვ. გოლოვინი, ი. სტეპანოვი.**



## მასპინძლობს კიევი

**2 აპრილს** კიევში დაიწყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი (უმაღლესი ლიგა) ჭადრაკში 18 დიდოსტატის, საერთაშორისო ოსტატის და ოსტატის მონაწილეობით. შეჯიბრებაში გამოდის ჩვენი თანამემამულე, საერთაშორისო ოსტატი **ზურაბ აზმაიფარაშვილი**, რომელსაც როგორც ცნობილია, უკვე აქვს უმაღლეს ლიგაში თამაშის გამოცდილება. მან ხომ საკავშირო ჩემპიონატში თავისი დებიუტისას მაშინდელ მსოფლიო ჩემპიონს ანატოლი კარპოვს სძლია.

როგორც ყოველთვის, უმაღლესი ლიგის შემადგენლობა მეტად ძლიერია. ბრძოლაში ებმება 26 წლის ხარკოველი მიხეილ გურევიჩი, — საბჭოთა კავშირის ახლანდელი ჩემპიონი. სულ რაღაც ერთი წლის მანძილზე გურევიჩმა განსაცვიფრებელ წარმატებებს მიაღწია. ჯერ პირველი-მესამე ადგილები გაიყო უმაღლეს ლიგაში, შემდეგ მიხეილ ტალთან ერთად გაიმარჯვა იურმალის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში, თბილისში პირველი პრიზი მოიპოვა ალექსანდრე კოტოვის მემორიალში, ალექსანდრე ჩერნინთან და ვიქტორ გავრიკოვთან დამატებით მატჩ-ტურნირში კი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა. სულ ახლახან იგი კუბის საერთაშორისო ტურნირზე პირველ პრიზს დაეუფლა.

ლვოველი ალექსანდრე ბელიავსკი პრეტენდენტთა უკანასკნელი ტურნირის მონაწილე იყო, ვიქტორ გავრიკოვმა (ვილნიუსი) კი პირველი-მეორე ადგილები გაიყო უკანასკნელ საკავშირო ჩემპიონატში. იური ბალაშოვის (მოსკოვი), მსოფლიო ექსჩემპიონ კარპოვის მწვრთნელის, მაღალი კლასი საყოველთაოდ არის ცნობილი. საკავშირო ჩემპიონატში არაერთგზის წარმატებით გამოსულან დიდოსტატები ვიტალი ცეშკოვსკი (კრასნოდარი), სერგეი დოლმატოვი (მოსკოვი), სმბატ ლპუტიანი (ერევანი), ნაუმ რაშკოვსკი (ტაშკენტი). ლევ ფსახისი, რომელმაც ამ დღეებში შესანიშნავად ითამაშა (I-II ადგილები გაიყო ოდესელ ვიაჩესლავ ეინგორნთან ერთად) მოსკოვის საერთაშორისო ტურნირში. ლერნერმა ზაფხულში აკიბა რუბინშტეინის მემორიალში გაიმარჯვა. რაც შეეხება ეინგორნს, იგი თეორიულად შესანიშნავად მომზადებული და დიდი პრაქტიკული ძალის მოჭადრაკეა.

ლენინგრადელი ალექსანდრე ხალიფმანი ახლა ევროპის ჩემპიონია ჭაბუკებს შორის. ქალეზნოვოდსკელი ევგენი ბარეევი ყოფილი მსოფლიო ჩემპიონია ჭაბუკებს შორის და საკავშირო პირველ ლიგაში გამარჯვებულია. ხარკოველმა იური იაკოვიჩმა კი პირველად ყურადღება შარშან, სწორედ პირველ ლიგაში თამაშისას მიიქცია. დიდი პრაქტიკული ძალით გამოირჩევიან საერთაშორისო ოსტატები ვლადიმერ მალანიუკი (სიმფეროპოლი), სერგი სმაგინი (მოსკოვი), რომელსაც შარშან სულ ცოტაღა დააკლდა საზონათშორისო ტურნირში თამაშის უფლების მოსაპოვებლად და ლენინგრადელი ლეონიდ იუდასინი, რომლის თამაშს შარშან თბილისელები კოტოვის მემორიალში გაეცნენ. ასევე ძლიერი მოჭადრაკეა ჩელიაბინსკელი სიმონ დვოირისი, რომელმაც წარმატებით ითამაშა რამდენიმე საერთაშორისო ტურნირში.

აი ისინი, რომლებთანაც ზურაბ აზმაიფარაშვილს ძალების გამოცდა მოუხდება. ეს მეტად საინტერესო ტურნირი კიევში აპრილის ბოლომდე გასტანს.

**გ. გამრეკელი.**

## სატურნირო ორბიტა

**ჭიდაობა.** ამერიკის შეერთებული შტატების ქ. გარდენ-სიტიში წარმატებით იასპარეზეს სსრ კავშირის თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა, აშშ ნაკრებთან შესამე დასკვნით შეხვედრაში ჩვენმა ათლეტებმა გაიმარჯვეს ანგარიშით — 7:3. თბილისელმა ლერი ხაბელოვმა 53 წამში დაამარცხა ჯონ დოჰერტი, ხოლო კრასნოიარსკელმა სერგეი კრამჩაკოვმა 5 წუთში მოუგო რიკ სალამონსს, დავით გობეჯიშვილმა დაამარცხა ბილ ჰაიძენი, ტაშკენტელმა მახარბეკ ხადარცევმა — დუგლან გოლდმანი. სამ შეხვედრაში გაიმარჯვეს ამერიკელმა მოჭიდავეებმა.

**ფეხბურთი.** საფრანგეთის ქ. სენ-მალოში დამთავრდა ჭაბუკთა (16 წლის ასაკამდე) საერთაშორისო ტურნირი. წარმატებით იასპარეზა საბჭოთა კავშირის ნაკრებმა და ტურნირში მონაწილე რვა ქვეყნის ნაკრებთა შორის პირველი ადგილი დაიკავა. ფინალურ მატჩში საბჭოთა ფეხბურთელებმა ანგარიშით 4:0 დაამარცხეს შოტლანდიის გუნდი.

**გუშინ** გაიმართა ფეხბურთში ევროპის საკლუბო ტურნირების პირველი ნახევარფინალური მატჩები. კიევის დინამოელებმა უმასპინძლეს პრაღის „დუკლას“ და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:0.

**რეგბი.** თბილისსა და კენტაუში გრძელდება უმაღლესი ლიგის გუნდების 23-ე საკავშირო ჩემპიონატი. მესამე ტურში თბილისში ადგილობრივი „ლოკომოტივისა“ და ქუთაისის „მშენებლის“ შეხვედრა დამთავრდა რეგბისათვის უჩვეულო ანგარიშით — 0:0, ლენინგრადის „პრიმორეცისა“ და ლვოვის „სოკოლის“ მატჩი დასრულდა ლენინგრადელთა გამარჯვებით ანგარიშით 21:13, კრასნოიარსკის „ექსკავატორ-ტიაჟსტროი“ დამარცხდა მოსკოვის „სლავასთან“ — 9:19.

**ჭადრაკი.** ბრიუსელში დიდოსტატთა საერთაშორისო ტურნირში მოეწყო შეხვედრები გადადებული და გამოტოვებული პარტიების დასამთავრებლად. მსოფლიოს ექსჩემპიონმა ა. კარპოვმა და ო. რომანიშინმა თავიანთ მოპოვებულ „ნადავლს“ კიდევ ნახევარ-ნახევარი ქულა შემატეს. მერვე ტურში ა. კარპოვმა მოუგო ბელგიელ ვინანტს, ო. რომანიშინმა ყაიმით დაამთავრა პარტია ჰოლანდიელ ტიმანთან. რვა ტურის შემდეგ შეჯიბრებას 6 ქულით კვლავ ა. კარპოვი ლიდერობს.

**ციგურაობა.** სამარყანდში დამთავრდა ჭაბუკთა (1968-1969 წლებში დაბადებული) საკავშირო პირველობა ბაიდარით ნიჩბოსნობაში. შეჯიბრებაში წარმატებით იასპარეზა სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრმა, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტმა ედუარდ ქაშაკაშვილმა (სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვები“). ერთადგილიანი ბაიდარით 500 და 1000 მეტრიან დისტანციებზე შეჯიბრებაში ე. ქაშაკაშვილმა მეორე ადგილი დაიკავა.

## გიწვევთ ქალთა ფეხბურთზე

**კიდევ** ერთი საინტერესო სანახაობის მოწმენი გახდებიან თბილისელი ფეხბურთის მოყვარულები — პარასკევს, 4 აპრილს, 18 საათსა და 30 წუთზე თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონის დირექცია გიწვევთ შეხვედრაზე, რომელიც გაიმართება შვეციის ფეხბურთელ ქალთა გუნდებს შორის. ერთმანეთს ხვდებიან შვეციის ჩემპიონი „ოქსაბეკი“ და მესამე პრიზიორი „სტომსბრუ“. მაშ ასე, გელით ქალთა ფეხბურთზე!

## საზაფხულო ფორმის ტანსაცმელზე გადასვლის გამო

**თბილისის** გარნიზონის უფროსის ბრძანებით, გარნიზონის ჯარის ნაწილების, სამხედრო სასწავლებლებისა და დაწესებულებების პირადი შემადგენლობა 1986 წლის 5 აპრილიდან გადადის საზაფხულო ფორმის ტანსაცმლის ტარებაზე.

● ჩილე

## ბარიკადები ქუჩებში

**ბუენოს-აირესი. ერთი დღითაც არ წყდება დიქტატორის საწინააღმდეგო გამოსვლები ჩილეში. გასული დღე-ღამის მანძილზე კარაბინერებისა და მანიფესტანტების ახალი გააფთრებული შეტაკების ასპარეზად იქცა სანტიაგოს ცენტრალური რაიონები.**

როგორც ჩილეს დედაქალაქიდან იუწყებიან, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებმა აღმართეს ბარიკადები ქუჩებში, თამამად ჩაებნენ ბრძოლაში თავით ფეხებამდე შეიარაღებულ დამსჯელებთან, რომლებმაც დაუშინეს მათ ცრემლსადენ-გაზიანი ხელყუმბარები, სცემდნენ ხელკეტებითა და ავტომატების კონდახებით.

უკვე რამდენიმე დღეა სანტიაგოს ქუჩებში გამუდმებით პატრულობენ პოლიციელთა და ჯარისკაცთა გაძლიერებული რაზმები. პინოჩეტის საიდუმლო პოლიცია ამკაცრებს რეპრესიებს. იგი ცდილობს ჩაახშოს სახალხო პროტესტების სიმწვავე. მაგრამ, ყოველგვარი დრაკონული ღონისძიებების მიუხედავად, ჩილელთა ბრძოლა ფაშიზმისაგან სამშობლოს განთავისუფლებისათვის განუხრელად მწვავდება.

### ფოტოფაქტი

● საფრანგეთი

## აფეთქება პარიზში



◆ **პარიზი. მძლავრმა აფეთქებამ მთლიანად დაანგრია ჟურნალ „ჟენ აფრიკის“ გამომცემლობისა და რედაქციის ერთ-ერთი შენობა. ეს ჟურნალი აფრიკის მრავალ ქვეყანაში ვრცელდება. დიდი მატერიალური ზარალი მიადგა სხვა ნაგებობებსაც, მათ შორის საცხოვრებელ სახლებსაც.**

**სურათზე:** აფეთქების შემდეგ.

**აპ-საქდესის** ფოტო.

## ერთგულების გამოცდა

**რამდენიმე დღის წინათ გაზეთებში დაიბეჭდა წერილები, რომლებიც დასავლეთის სპეცსამსახურების მიერ საბჭოთა მოქალაქის ვ. ნ. შუვალოვის გატაცებასა და გადაბირების უხეშ მცდელობას შეეხებოდა. ამან ერთი შემთხვევა გამახსენა, ფოთის მკვიდრს გია თავბერიძეს რომ გადახდა თავს, და მინდა მკითხველებმაც იცოდნენ.**

**ფოთში,** შავიზღვისპირეთის ამ პატარა სანავსადგურო ქალაქში, დაიბადა და გაატარა ჭაბუკობის წლები გია თავბერიძემ, ქალაქში, რომელსაც მის წინაპართა არაერთმა თაობამ დაუკავშირა სამუდამოდ თავისი ბედ-იღბალი. აქ, გამრჯე მშრომელი კაცის ბორის თავბერიძის ოჯახში, სახელოვანი ტრადიციების სკოლაში აღიზარდა ჭაბუკის სული როგორც მოქალაქისა და კაცური კაცისა; აქ შეიგრძნო სისხლხორცეულად მშობლიური კუთხის მადლი და მამულის უანგარო სიყვარულის ფასიც.

ასეთ პრინციპებზე აღზრდილი ბიჭი საარმიო სამსახურიდანაც სასახელოდ ვალმოხდილი დაბრუნდა და ფოთის სერგო ორჯონიკიძის სახელობის გემთშემკეთებელ-გემთსაშენებელ ქარხანაში დაიწყო ზეინკლად მუშაობა. შრომისმოყვარე, ამხანაგური, ურთიერთობაში ფრიად სასურველი ახალგაზრდა მალე გახდა ქარხნის მთელი კოლექტივის პატივსაცემი და საყვარელი ადამიანი.

სამუშაოს შემდეგ ხშირად მიაშურებდა ხოლმე ზღვის პირს. თვალს არ აშორებდა თევზის სარეწად მიმავალ გემებს. გული მათკენ უხმობდა, მაგრამ ზღვის სურვილი სურვილად რჩებოდა. როგორც საუკეთესო მუშა, საწარმომ იგი ნიკოლაევის გემთსაშენებელ ინსტიტუტში გაგზავნა უმაღლესი განათლების მისაღებად. დამთავრების შემდეგ კვლავ თავის საწარმოს დაუბრუნდა.

ზღვასთან შეზრდილს ისევ ზღვისკენ ეჭირა თვალი, და აი საწადელიც აუხდა. 1980 წლიდან ქარხნის რეკომენდაციით ფოთის საოკეანო თევზჭერის სამმართველოში გადავიდა სამუშაოდ, ხოლო პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტმა შორეულ ნაოსნობაში გასაგზავნი გემის ეკიპაჟის შემადგენლობაში სხვებთან ერთად გიას ჩარიცხვასაც დაუჭირა მხარი.

ახდენილ ოცნებას ენერგიის მოზღვავება სჩვევია. გია თავბერიძეც ზღვის სტიქიასთან შეჭიდებული ეკიპაჟის მრავალრიცხოვან კოლექტივთან ერთად თავდადებით შრომობდა, და ყოველი რეისიდან სახელოვნად ბრუნდებოდა. ასეთი იყო მისი პასუხი გამოცხადებული ნდობისათვის...

ყოველი ადამიანის ცხოვრებაში დგება ხოლმე მომენტი, როდესაც უნდა მიიღოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება და იმაზე, თუ როგორი იქნება, იგი, შეიძლება ვიმსჯელოთ მის პრინციპებსა და ცხოვრებისეულ პოზიციაზე.

ასეთი გამოცდა ცხოვრებამ გიასაც მოუწყო.

ერთხელ ტრალერ „იმერეთის“ ეკიპაჟთან ერთად რეისში რომ იმყოფებოდა, გიამ მწვავე ტკივილები იგრძნო მუცლის არეში, გადაუდებელი სამედიცინო დახმარება იყო საჭირო, იგი სასწრაფოდ გადაიყვანეს უახლოესი სახელმწიფოს ნამიბიის ნაპირზე, ნავსადგურ ოლფიშ-ბეიში. აქედან გასტროსკოპის უქონლობის გამო, ქალაქ ვინდჰუკში გადაანაცვლეს და კათოლიკური ეკლესიის ჰოსპიტალში მოათავსეს. როცა ცოტათი მოიხედა, კარგად გაარჩია უცხო კაცი, რომელიც განსაკუთრებულ „მზრუნველობას“ იჩენდა მის მიმართ. გაახსენდა — ეს უცნობი ხომ აეროპორტში დახვდა მას? მაგრამ ვერაფრით ვერ მიხვდა, ვინ უნდა ყოფილიყო, ან საიდან იცოდა ასეთი წმინდა რუსული. მან ჯერ ჯიბის ფული შესთავაზა, მერე — მშობლებთან გასაგზავნი უფრო დიდი თანხა.

— ჩიტის რძე არ მოგაკლდება, რასაც ისურვებ, ყველაფერი გექნება, — ჩასისინებდა უცხობი. მის სასთუმალთან განზრახ ტოვებდა სოლჟენიცინის წიგნებს, ჰიტლერის სურათს, პორნოგრაფიულ ჟურნალებს და სხვა ლიტერატურას, ხოტბა-დიდებასასხამდა ბურჟუაზიული ცხოვრების წესს. ხშირად ეკითხებოდა ჩვენი საზღვაო ფლოტის შესახებ, საბჭოთა კავშირში ცხოვრების პირობებზე, იმ ნეგატიურ მოვლენებზე, რომლებიც ჯერ კიდევ არსებობს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში.

— დარჩი ჩვენთან, კისრამდე იცხოვრებ, უზრუნველი და ბედნიერი იქნები, — სამშობლოს ღალატის სანაცვლოდ სთავაზობდა ეს უსამართლო ნაძირალა ავადმყოფს.

გია გაცეცხლდა:

— ბედნიერება დიდი ხანია ვპოვე და ამაოდ ირჯები. გესმის? ახლა კი მომწყდი თავიდან! — იყო მრისხანე პასუხი. არამკითხე „ქირისუფალი“ მაინც არ ეშვებოდა. მერე მუქარაზეც გადავიდა, მაგრამ არაფერმა არ გაჭრა. ამაოდ დაშვრნენ. საბჭოთა გემის ეკიპაჟის წევრის გადაბირების უხეში მცდელობა მარცხით დამთავრდა.

გია თავბერიძე მალე საავადმყოფოდან გამოწერეს. ერთხანს მოსკოვში მკურნალობდა, შემდეგ თავის მშობლიურ ქალაქს დაუბრუნდა.

**თინა ზარგინავა.**

### საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოში

## მუქთახორა: შეწყალების უფლების გარეშე

**საქართველოს** სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ უარყო განსასჯელ გ. მინდიაშვილისა და მისი ადვოკატის ს. ადამიას საკასაციო საჩივარი სიღნაღის რაიონის სახალხო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის გამო.

გ. მინდიაშვილი ბრალეულად ცნეს დანაშაულისათვის, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლით და მიუსაჯეს ერთი წლის თავისუფლების აღკვეთა მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში სასჯელის მოხდით. წარსულში ოთხჯერ ნასამართლევი, იგი სამ წელზე მეტ ხანს არსად არ მუშაობდა, ეწეოდა პარაზიტულ ცხოვრებას. გ. მინდიაშვილი წნორის მეცხოველეობის კომპლექსში მხოლოდ მას შემდეგ გაფორმდა, რაც მუქთახორობისათვის მისცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში. მიუხედავად ამისა, ამ სასოფლო-სამეურნეო საწარმოს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ შესაძლებლად მიიჩნია აღეძრა შუამდგომლობა სასამართლოს წინაშე სასჯელისაგან გ. მინდიაშვილის განთავისუფლების შესახებ.

სასამართლო კოლეგიამ ეს თხოვნა არ დააკმაყოფილა. გ. მინდიაშვილმა კოლექტივს დაუმალა თავისი წარსული: იგი ორჯერ ყოფილა ნასამართლევი სახელმწიფო ქონების დატაცებისათვის, აგრეთვე გაუპატიურებისა და სპეკულაციის მცდელობისათვის. მაგრამ სასჯელის მოხდის შემდეგაც სამ წელზე მეტ ხანს უქმად ცხოვრობდა. დაუფარავად ქეიფობდა და დროს ატარებდა.

ამ წლების მანძილზე არც წნორის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომი, არც შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილება არ ცდილან საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობაში ჩაებათ ოთხჯერ ნასამართლევი გ. მინდიაშვილი. ამავე დროს ამის შესახებ არსებობს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ზუსტი მითითებანი: „სამი თვის მანძილზე სამუშაოსათვის თავის არიდება საკმაო საფუძველია, რათა უქმად მოხეტიალე მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში, თუ იგი ერთხელ მაინც იყო გაფრთხილებული თავისი საძრახისი ცხოვრების გამო. შრომითი მოწყობისათვის ეძლევა ერთი თვის ვადა. წნორში ეს მოთხოვნა უგულებელყვეს.

ყოველივე ამის საფუძველზე, სასამართლო კოლეგიამ კერძო განჩინება გამოიტანა სიღნაღის სახალხო დეპუტატთა რაიონული და წნორის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოების აღმასკომების, შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების ხელმძღვანელთა მიმართ. ისინი საკმაოდ აქტიურად არ ავლენენ იმ პირთ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, რაიონში არ არის შექმნილი იმ ადამიანებისადმი შეურიგებლობის ატმოსფერო, რომლებიც ბოროტად იყენებენ სპირტიან სასმელებს. არსებითად უმოქმედოდ არის სახალხო დეპუტატთა აქტივიც. სიღნაღის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარესა და პროკურორს წინადადება მიეცათ უფრო გაბედულად აღკვეთონ მუქთახორობისა და ლოთობის ფაქტები.

მათ დაევალათ ერთ თვეში აცნობონ მიღებული ღონისძიებანი რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოს.

**რედაქტორი**
**გ. ბედინეიშვილი.**

**გიხმობთ კოოპერაციული ბაზრობები**

**ცეკავშირის** სისტემის სამრეწველო ორგანიზაციები მომხმარებელს სთავაზობენ ფართო ასორტიმენტის მზა ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, ქსოვილებს, საგალანტერეო, საპარფიუმერიო, სპორტულ, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სხვა სახის როგორც სამამულო, ისე იმპორტული წარმოების საქონელს.

ბაზრობები იმართება ყოველ შაბათ-კვირას მცხეთის თეატრონზე და წყალტუბოს რაიონის სოფელ ქვიტირში.

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება კოოპერაციულ ბაზრობებზე, ძვირფასო მომხმარებლებო!

**ცეკავშირის გამგეობა.**

## ჩვენს ტელეეკრანებზე

### მოსკოვი

3 აპრილი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.40 — კონცერტი. 10.00 — მოსწავლეთა შეხვედრა „კომსომოლსკაია პრავდის“ პოლარული ექსპედიციის მონაწილეებთან“. 11.15 — ცხოველთა სამყაროში. 12.15 და 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — დოკუმენტური ფილმი. 16.15 — „იცოდე და ისწავლე“. 17.15 — საჭადრაკო სკოლა. 17.50 — დოკუმენტური ტელეფილმი „აგროპრეწვი: ათვლის წერტილი“. 18.20 — ჰოკეი. 19.05 — თანამედროვე მსოფლიო და მუშათა მოძრაობა. 19.35 — მულტფილმი. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — ტ. ხრენიკოვის კომიკური ოპერის „დოროთეას“ პრემიერა. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — კალათბურთი.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 და 19.50 — დოკუმენტური ტელეფილმები. 10.05 და 13.55 — ესპანური ენა. 12.15 — XVII საუკუნის რუსული ხელოვნება. 14.25 — სუბტიტრებიანი მხატვრული ფილმი „ხუთი საღამო“. 16.05 და 19.00 — ახალი ამბები. 19.20 — „სად ვიყიდოთ მოდური კოსტიუმი?“. 20.00 — მეცხრე სტუდია. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!“. 21.15 — რიტმული ტანვარჯიში. 21.45 — „დასძლიე დედამიწის მიზიდულობა“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „ხალხისათვის“. VI და VII სერია.

### თბილისი

3 აპრილი

**პირველი პროგრამა.** 16.20 — საინფორმაციო გადაცემა (რუსულ ენაზე). 16.30 — ტელეკურსელთათვის — საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 17.00 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 17.10 — „საბჭოური ცხოვრების წესი“. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ოცი წლის შემდეგ“. 17.30 — განცხადებები. 17.35 — მოსწავლეთათვის. „დო, რე, მი“... 18.25 — „ჩემი კომკავშირი“. 18.45 — „ცეროდენას ეკრანი“. 19.00 — „მოქმედების, გარდაქმნის, წინსვლის პროგრამა“. როგორ მოვაწყოთ იჯარული ბრიგადები (საუბარი მრგვალ მაგიდასთან). 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — მოამბე. 20.35 — „გავამდიდროთ ადამიანის სულიერი სამყარო“. საქართველოს კინემატოგრაფისტთა VI ყრილობისათვის. მხატვრული ფილმი „ზოგი ჭირი მარგებელია“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — ახალგაზრდა შემოქმედთა სატელევიზიო კლუბი. ვკითხულობთ „ვეფხისტყაოსანს“. 23.30 — „გავამდიდროთ ადამიანის სულიერი სამყარო“. „საქართველოს კინემატოგრაფისტთა VI ყრილობისათვის. ვიდეოფილმი „ცეკვავს ნინო ანანიაშვილი“.

**მეორე პროგრამა.** 16.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ორკესტროდ“. 17.05 — მოსწავლეთათვის. ჰიგიენა და ჯანმრთელობა. 17.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ისტორია ბრალს სდებს“. 18.10 — მოსწავლეთათვის. სსრ კავშირის ისტორია.

### თეატრი

3 აპრილი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ტოსკა (54-ე აბონ. მე-9 წარმ.); მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ჯაყოს ხიზნები**; აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **კახელები ბაზზე**; თბილისის სახელმწიფო დრამატული — **ჭინჭრაქა** (მე-6 აბონ. მე-4 წარმ.); მოზარდ მაყურებელთა ქართული — **კუკარაჩა** (აბონ. № 73, 7 ს.).